ინდიკატორი N. 2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნირებები** სასურველია რეგულარული მონიტორინგი და ანალიზი — რამდენად შეესაბამება რეალური სწავლება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს — და საჭიროების შემთხვევაში, დროული კორექტირება. ეს ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა უკეთეს შედეგებს. **ესთეტიკური აღზრდა** დაწყებით საფეხურზე სასურველია გაკვეთილის დაგეგმვაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და განხორციელებულ აქტივობებს შორის კავშირი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობასა და ეფექტიანობას.
ინდიკატორი 2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია შეფასების სისტემა მეტად დაეფუძნოს კურიკულუმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და შემოქმედებით დავალებებს, ასევე მოიცავდეს ანალიზზე, ინტერპრეტაციასა და შემოქმედებით აზროვნებაზე ორიენტირებულ შეფასების ფორმებს, რაც გაზრდის მის ვალიდურობასა და ობიექტურობას. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** კიდევ უფრო გაღრმავდეს შეფასების სისტემებზე მუშაობა. ინტენსიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და პროგრესის ანალიზს. **უცხოური ენები:** უმჯობესია, შეფასების რუბრიკები მოერგოს 10 ბალიან სისტემას, ხოლო იმ შემთხვევებში სადაც არ გვაქვს 10 ბალიან შეფასების რუბრიკა, სხვა შემთხვევაში, სასურველია დაერთოს ქულათა კონვერტაციის წესი.
ინდიკატორი N 2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში გამრავალფეროვნდეს სასწვლო რესურსები, რომლებიც სახელმძღვანელოების გარდა მოიცავს დამატებით ლიტერატურას, ციფრულ რესურსებს და ა.შ ცალკეულ კურიკულუმებში

		გასაუბრების შემდეგ, ვიზიტის პერიოდში პედაგოგებმა ამ საკითხზე იმუშავეს და პროგრესი თვალსაჩინო იყო. შესაბამისად, კათედრაზე მომუშავე პედაგოგებს შესწევთ უნარი გააგრძელონ ამ მხრივ მუშაობა.
ინდიკატორი 2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** **სასურველია,** რომ დამატებითი რესურსებისთვის შეიქმნას შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს: კურიკულუმთან შესაბამისობას, სიზუსტესა და სანდოობას, ასაკობრივ და საგნობრივ შესაბამისობას, ინკლუზიურობას და სწავლების მიზნებთან კავშირს. **ესთეტიკური აღზრდა** აუცილებელია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესის ფორმალიზება (რესურსების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა, კოლეგიალური განხილვა, შესაბამისობის შეფასება სასწავლო მიზნებთან), რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხისა და თანმიმდევრულობის გაზრდას.
სტანდარტი N 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**საბუნებისმეტყველო საგნები** სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგების მიღწევიდან გამომდინარე, სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიები ფუნქციონირებდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სივრცეში და აღიჭურვოს შესაბამისი რესურსებით ისე, რომ დაგეგმილი კვლევა/ექსპერიმენტის განხორციელება შესაძლებელი იყოს ინდივიდუალურად/ჯგუფურად მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია მატერიალური რესურსების ეტაპობრივი გამდიდრება და განახლება, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს პრაქტიკული და შემოქმედებითი აქტივობების განვითარებას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 15 და 16 აპრილს - სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლაგანხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით "განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შესაბამისობა.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია,ადგილზე შეისწავლა არსებული სიტუაციები და წარადგინა დასკვნის პროექტი. აღნიშნული პროექტის მიხედვით ავტორზაციის სტანდართან შესაბამისობაში ექსპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა რამდენიმე მიგნება - ხარვეზი. კერძოდ, **მესამე სტანდარტის შემთხვევაში**, შეუსაბამობა დაფიქსირდა შემდეგ ინდიკატორებთან:

ინდიკატორი N 3.1.2.4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს** - ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას არ ჰყავდა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მასწავლებელი, რომელსაც დადასტურებული აქვს შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია. ინდიკატორი N 3.4.1.1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა** - ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს , სკოლას სოფელ ხეღრუს დაწყებითი სკოლის მისამართზე არ ჰქონდა:

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
2. მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
3. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

ამასთანავე, **სკოლას სოფელ ზემო ახალშენისა და და სოფელ ხეღრუს მისამართებზე:**

- სკოლაში არ არის უზრუნველყოფილი ვიდეოკამერების საკმარისი რაოდენობით, რის გამოც ვერ ხერხდება ყველა სავალდებულო ზონის სრულყოფილი დაფარვა.

სკოლას **სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის მისამართზე:**

- ეზოს ტერიტორია ბოლომდე არ არის შემოსაზღვრული;

სკოლის ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობა (საპირფარეშო) რომელიც საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებას (არსებობს ჩამონგრევის საშიშროება და ამავე დროს კონფლიქტისა და ბულინგისათვის ხელსაყრელი გარემო).

ინდიკატორი N 3.4.1.6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას** - ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორები განთავსებული იყო ისეთ სივრცეებში (სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლაში - სამედიცინო კაბინეტი და კომპიუტერულ ლაბორატორიაში - სოფელ ხელღრუს საჯარო სკოლაში), სადაც მათზე წვდომა შესაძლებელი იყო არაუფლებამოსილი პირებისთვის - შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაცვა პრაქტიკაში სრულად უზრუნველყოფილი არ არის.

ინდიკატორი N 3.5.1.4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლასთან შერწყმულ სოფელ ხეღრუს დაწყებითი სკოლაში არ იყო

ადაპტირებული სველ წერტილების შესასვლელი. გამიჯნული არ იყო სველი წერტილები გოგოებისა და ბიჭებისათვის. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის მეორე სართული არ იყო ადაპტირებული (კიბე); არ არის ადაპტირებული სველი წერტილები.

მეორე სტანდარტის შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა საგნობრივი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე გამოავლინა რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებდა დამატებით დაზუსტებასა და გაუმჯობესებას. კერძოდ,

უცხოური ენის მიმართულებით ინდიკატორებთან N 2.1.2.2 **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** და N 2.2.1.3 **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა კურიკულუმისა და შეფასების სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში კურიკულუმები სრულად არ უზრუნველყოფდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებების თანმიმდევრულ და საფეხურისთვის შესაბამის ასახვას (იხ. დასკვნა); ასევე, შუალედური მიზნების შესაბამისი დავალებების პირობები ზოგად ხასიათს ატარებდა, რაც ართულებდა მოსწავლის მიერ შესასრულებელი ქმედებების მკაფიოდ იდენტიფიცირებას (იხ. დასკვნა).

ამასთან, შეფასების სისტემის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შეფასების რუბრიკებსა და დავალებების პირობებს შორის შეუსაბამობის ცალკეული შემთხვევები, ასევე შეფასების კრიტერიუმებისა და ქულობრივი დიაპაზონების დაზუსტების საჭიროება, რათა შეფასების პროცესი მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი ყოფილიყო ყველა საფეხურზე.

ინდიკატორი N 2.2.2.3 კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სტანდარტის შესაბამისი აღჭურვილობით.

სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული მიგნებები საფუძვლიანად შეისწავლა და შესაბამისობის გეგმის სახით **წარმოადგინა დასაბუთებული პოზიცია.** შესაბამისობის გეგმის განხილვის შედეგად, **ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია და დადებითად შეაფასა გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები.** სკოლამ შესაბამისი ინდიკატორების ფარგლებში ნაწილობრივ უკვე განახორციელა დაგეგმილი აქტივობები, ხოლო დარჩენილი ღონისძიებების შესრულება განსაზღვრულია შესაბამისობის გეგმით. აღნიშნულის საფუძველზე, მესამე სტანდარტის ინდიკატორებთან მიმართებით განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ინდიკატორი N 3.1.2.4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი - 2026 წლის სექტემბერი) გამოიცხადოს კონკურსი და აიყვანოს მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მასწავლებელი, რომელსაც დადასტურებული აქვს შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია.

ინდიკატორი N 3.4.1.6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

რეკომენდაცია:

1. შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი) მოიპოვოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

2. შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
3. შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი) სკოლამ უზრუნველოს ვიდეო სამთვალყურეო კამერების განთავსება.

ინდიკატორი N 3.5.1.4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.**

რეკომენდაცია : შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი - 2027 წლის მაისი) სკოლამ უზრუნველყოს, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლასთან შერწყმულ სოფელ ხეღრუს დაწყებით სკოლაში ადაპიტირებული სველი წერიტლების მოწყობა და სველი წერტილების გამიჯნვა.

მეორე სტანდარტის ინდიკატორებთან მიმართებით განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ინდიკატორი N 2.2.2.3 კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რეკომენდაცია - სკოლამ უზურნველყოს , შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი - 2027 წლის მაისი) სკოლამ უზრუნველყოს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო, მოსწავლეზე ორიენტირებული მისია - უსაფრთხო, პოზიტიური, სწავლის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სადაც ყველა ბავშვი ლაღი, მოაზროვნე, მაძიებელი, თავდაჯერებული, მიღებული და დაფასებულია, სადაც სწავლა სასიამოვნო და საინტერესო თავგადასავლებით სავსე პროცესია წარმატების მისაღწევად. ინტელექტუალური თუ მატერიალური ღირებულებების შესაქმნელად მოზარდებს ჩამოვუყალიბებთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს, დავეხმარებით ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის, უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. პრიორიტეტად ვსახავთ არაფორმალურ განათლებას, პროექტულ სწავლებას, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებასა და დაცვას, დემოკრატიული ღირებულობების ამაღლებას. აღნიშნული მისია გულისხმობს უსაფრთხო, პოზიტიური და სასწავლო პროცესის მასტიმულირებელი გარემოს შექმნას. მისია ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე — როგორც აკადემიური, ისე სოციალური და პიროვნული უნარების ჩამოყალიბებაზე.

სკოლის ხედვა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და პასუხისმგებლობის განაწილებას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის წარმატებას და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას.

სკოლა პრიორიტეტად ასახელებს არაფორმალურ განათლებას, პროექტულ სწავლებას, გარემოს დაცვასა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას, რაც შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს. სკოლა აქტიურად არის ჩართული სასკოლო თუ სკოლათშორის სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში,

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტის მოთხოვნებს. ისინი მკაფიოდ გამოხატავს სკოლის საგანმანათლებლო პრიორიტეტებს და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **1.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა განსაზღვრავს დაწესებულების როლს, როგორც უსაფრთხო, პოზიტიური და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის. მისია ხაზს უსვამს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას — კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების, პრიორიტეტად დასახვა, რაც თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებთან შესაბამისობაშია.

ხედვა ავითარებს ამ მიმართულებას და აყალიბებს სკოლას თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოდ, სადაც პასუხისმგებლობა განაწილებულია და თითოეული მოსწავლის წარმატება საერთო მიზანს წარმოადგენს. ღირებულებები კი რეალურად ამყარებს აღნიშნულ ჩარჩოს — პროფესიონალიზმი, გუნდურობა, პასუხისმგებლობა და სამართლიანობა ქმნის სკოლის კულტურულ საფუძველს.

საერთო ჯამში, სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ თავს, როგორც უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. თუმცა, მიზანშეწონილია უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ამ პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების კონკრეტული მექანიზმები და შეფასების კრიტერიუმები, რაც გააძლიერებს შესაბამისობას სტანდარტთან. **1.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ორგანიზებულია ეტაპობრივად და მოიცავს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის ჩართულობას. საწყის ეტაპზე, სკოლის ადმინისტრაცია ამზადებს სამუშაო ვერსიას, რომელიც ასახავს დაწესებულების ძირითად მიმართულებებს, პრიორიტეტებსა და განვითარების ხედვას. აღნიშნული დოკუმენტი შემდგომ წარედგინება პედაგოგიურ საბჭოსა და მშობელთა კრებებს, სადაც ხდება მისი განხილვა და მონაწილეთა მხრიდან უკუკავშირის დაფიქსირება. პროცესის ფარგლებში სკოლა ასევე იყენებს სხვადასხვა ტიპის კითხვარებს, რომლებიც განკუთვნილია როგორც მშობლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის, რაც დამატებით უზრუნველყოფს მათი მოსაზრებების შეგროვებასა და ანალიზს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება დოკუმენტის გადამუშავება და დახვეწა.

მიუხედავად აღნიშნული პრაქტიკისა, მიზანშეწონილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კიდევ უფრო გაღრმავება და სისტემატიზაცია. <u>**რჩევა** : სასურველია ისეთი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან სკოლის დირექციის, მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და, შესაძლებლობის შემთხვევაში, თემის წარმომადგენლები. აღნიშნული ჯგუფი აქტიურად უნდა იყოს ჩართული არა მხოლოდ განხილვის ეტაპზე, არამედ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი</u>

ვერსიის შემუშავების პროცესშიც. ეს ხელს შეუწყობს უფრო მრავალმხრივი ხედვების ინტეგრირებას, გაზრდის მონაწილეთა პასუხისმგებლობის განცდას და უზრუნველყოფს, რომ საბოლოო დოკუმენტი რეალურად ასახავდეს მთელი სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. **1.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების გაზიარების ფაქტს მოწმობს, სხვადასხვა ოქმი. მაგალითად, პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის ოქმი, ასევე მშობელთა კრებების განხილვის ოქმები. **1.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ფილოსოფია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლას ის გაზიარებული აქვს, საიტზე დევს და აღნიშნული დოკუმენტი გამოკრულია სკოლის ჰოლში, საინფორმაციო დაფაზე. **1.1.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ “ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 3 თებერვლის N18/ნ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ- – ხელვაჩაურის მონიციპალიტეტის ზემო ახალშენის საჯარო სკოლა; შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **1.1.1.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ძირითადი ეტაპები, განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები და აღწერილია ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ზოგადი მიდგომები. დოკუმენტი მკაფიოდ უსვამს ხაზს თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე სკოლის მართვისთვის.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, იყენებს კვლევით მიდგომებს (გამოკითხვა, ინტერვიუ, SWOT ანალიზი) და განსაზღვრავს გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის ლოგიკურ თანმიმდევრობას. ასევე, დოკუმენტში ჩანს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ურთიერთკავშირი, რაც უზრუნველყოფს მიზნების თანმიმდევრულ განხორციელებას.

დოკუმენტი უფრო მეტად აღწერით ხასიათს ატარებს და ნაკლებად არის ოპერაციულ დონეზე გაწერილი. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მექანიზმები წარმოდგენილია ზოგადი ფორმით და არ იძლევა საკმარის სიცხადეს მათი პრაქტიკული განხორციელების შესახებ. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა დეკლარირებულია, თუმცა ნაკლებად ჩანს, როგორ გარდაიქმნება მათი მოსაზრებები კონკრეტულ გადაწყვეტილებებად. შესაბამისად, დოკუმენტი საჭიროებს უფრო დეტალიზაციას იმ ნაწილში, რომელიც ეხება მონაცემთა დამუშავებას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და ჩართულობის რეალურ მექანიზმებს. ამ მიმართულებით <u>**სკოლას მიეცა რჩევა:**</u> 1. სასურველია გაიწეროს მონაცემთა ანალიზზე პასუხისმგებელი

პირი / პირები. 2. ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, სასურველია, დამატებით გაიწეროს, ჩართულობის ფორმები (ფოკუს ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები); მონაწილეთა აქტიური როლი (არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, არამედ გადაწყვეტილებაში მონაწილეობა); უკუკავშირის მექანიზმი (როგორ იგებს საზოგადოება, რომ მათი აზრი გათვალისწინდა).**1.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025–2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება ინდიკატორის ძირითად მოთხოვნებს. დოკუმენტი მოიცავს 7-წლიან პერიოდს, რაც სრულ თანხვედრაშია სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნასთან. ასევე, გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რაც მკაფიოდ იკვეთება როგორც სტრატეგიულ მიმართულებებში, ისე მიზნებსა და დაგეგმილ აქტივობებში. აღნიშნული ქმნის ლოგიკურ კავშირს დეკლარირებულ ფასეულობებსა და დაგეგმილ განვითარებას შორის.

სტრატეგიული გეგმა სტრუქტურულად მოიცავს აუცილებელ ელემენტებს — განსაზღვრულია **სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და ვადები**, რაც დადებითად ახასიათებს დოკუმენტს და მიუთითებს დაგეგმვის სისტემურობაზე.

1.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ძირითადად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. დოკუმენტი მკაფიოდ არის გაწერილი ერთწლიანი პერიოდისთვის (სასწავლო წელი), რაც სრულ შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ ხანგრძლივობასთან. ასევე, დოკუმენტში პირდაპირ არის მითითებული, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, რაც დასტურდება სტრატეგიული მიმართულებებისა და შესაბამისი აქტივობების თანხვედრით.

გეგმა სტრუქტურულად გამართულია და მოიცავს ყველა ძირითად კომპონენტს: მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, შესრულების ინდიკატორებსა და რესურსებს, რაც დადებითად ახასიათებს დოკუმენტს და მიუთითებს დაგეგმვის სისტემურობაზე.

გასული სასწავლო წლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში, ჩანს აღნიშნული სამოქმედო გეგმის ზოგადი ანალიზი (დირექტორის ანგარიში). სასურველია, გეგმაში მეტად გამოკვეთილად ჩანდეს:

- რა გამოწვევები გამოიკვეთა თვითშეფასების პროცესში
- როგორ არის ეს გამოწვევები ასახული აქტივობებში

- რა ლოგიკით არის შერჩეული პრიორიტეტები

გამომდინარე აქედან **<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u>** სასურველია, სამოქმედო გეგმა იწყებოდეს თვითშეფასების შედეგების მოკლე ანალიზით. **1.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე ამოცანები და მათ შესაბამისი აქტივობები. აქტივობები ლოგიკურად უკავშირდება დასახულ მიზნებს და ასახავს მათი განხორციელების გზებს, რაც მიუთითებს დაგეგმვის სისტემურობასა და სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაზე.

დოკუმენტში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს პროცესის ანგარიშვალდებულებას. ასევე, წარმოდგენილია რეალისტური ვადები (სასწავლო წლის ჭრილში განაწილებული აქტივობები), რაც ადასტურებს, რომ გეგმა გათვლილია პრაქტიკულ განხორციელებაზე. რესურსების ნაწილში უმეტესად მითითებულია „არსებული რესურსი“, რაც მიუთითებს, რომ სკოლა გეგმავს აქტივობებს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში და ინარჩუნებს რეალისტურ მიდგომას.

ამასთანავე, შესრულების ინდიკატორები ძირითადად წარმოდგენილია დოკუმენტური მტკიცებულებების ფორმით (ოქმები, ანგარიშები, პორტფოლიოები და ა.შ.), რაც მეტ-ნაკლებად განხორციელების დადასტურებას. **1.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სამეურვეო საბჭოს ოქმი N 1
პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 1

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ზოგად ჩარჩოს. დოკუმენტში გაწერილია მონიტორინგის პერიოდულობა, პასუხისმგებელი პირების ანგარიშების წარმოდგენის წესი და მიღებული შედეგების საფუძველზე ანალიზის განხორციელების აუცილებლობა. ასევე, გათვალისწინებულია შესრულების სტატუსების მინიჭება და შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა, რაც ქმნის გამჭვირვალე მართვის საფუძველს.

შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შექმნილია მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების საფუძვლები, თუმცა საჭიროებს დამატებით განვითარებას იმ მიმართულებით, რაც გულისხმობს დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო და სისტემურ ჩართულობას, უკუკავშირის შეგროვებისა და გამოყენების მექანიზმების გაძლიერებას.

სამომავლოდ სკოლა გეგმავს აღნიშნული მიმართულების გაძლიერებას, კერძოდ, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმების გაფართოებას, უკუკავშირის სისტემატიზაციას და მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული ცვლილებების უფრო ეფექტიანად დანერგვას, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას. **1.2.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშების გასაჯაროების მიზნით, იგაგმება მათი გამოქვეყნება სკოის ვებ-გვერდზე. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მას გაწრილი აქვს დოკუმენტების გასაჯაროების მექანიზმები. **1.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობის უზრუნველსაყოფად იგეგმება მათი გამოქვეყნება სკოლის ვებ-გვერდზე.

აღნიშნული პრაქტიკის განხორციელება დაგეგმილია სამომავლოდ, რის ფარგლებშიც სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშების სისტემატურ გამოქვეყნებას და დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. **1.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ყოველი წლის ბოლოს, სკოლის დირექტორი ამზადებს ანგარიშს, რომელიც მოიცავს სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას, ხოლო შემდგომ ამისა იგეგმება მომავალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რაც შეეხება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, სკოლის მიერ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა გამოიყენების სტრატეგიული გეგმის შედეგებს მომავალი დაგეგმვისათვის. **1.2.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სტრუქტურას განსაზღვრავს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის მართვის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურის სქემა/ორგანოგრამა, რომლითაც განსაზღვრულია თანამდებობრივი დაქვემდებარებები და ურთიერთმიმართებები. აღნიშნული ორგანოგრმა გამოკლულია სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის ვებგვერდეზ. სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და მოქმედი პირების უფლებამოვალეობები შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, ზოგადი განათლების შესახებ კანონთან. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დატელურად აღწერს სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობებს. **3.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია ანგარიშვალდებულებები და ფუნქციები, რომლებიც ხელს უნდა უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას. **3.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
სკოლის შინაგანაწესი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის (პოლიტიკის) მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პერსონალის მართვის ყველა ძირითად ეტაპს — მოზიდვიდან და შერჩევიდან დაწყებული, შეფასებითა და პროფესიული განვითარებით გაგრძელებული და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტით დასრულებული. აღნიშნული

პროცესები თანაბრად ეხება როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე მასწავლებლებს და მიზნად ისახავს ორგანიზაციაში ეფექტიანი, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი მართვის უზრუნველყოფას.

დოკუმენტაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პროცესების აღწერას, როგორიცაა თანამშრომელთა ინტეგრაცია სამუშაო გარემოში, შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი და შეფასება, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა და შიდა კომუნიკაციის მექანიზმები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესები იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის და უზრუნველყოფილი იყოს მათი სათანადო ინფორმირება.

ამასთანავე, სკოლაში შემუშავებულია შრომის კოდექსის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელშიც ასახულია ყველა აუცილებელი საკითხი, მათ შორის სამუშაო დროისა და დასვენების რეგულაციები, შრომის ანაზღაურების პირობები, შვებულებების გაცემის წესი, შრომის პირობების დაცვა, წახალისებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები, ასევე განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები. აღნიშნული შინაგანაწესი გაცნობილია პერსონალისთვის და წარმოადგენს შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ მნიშვნელოვან საფუძველს.

გარდა ამისა, პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები შეესაბამება როგორც შრომის კოდექსის მოთხოვნებს, ისე სკოლის შიდა რეგულაციებს და დეტალურად ასახავს შრომითი ურთიერთობის არსებით პირობებს.

3.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ნაწილობრივ იკვეთება საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის ელემენტები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ასახულია პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების, კადრების მოზიდვისა და შერჩევის, აგრეთვე სამუშაოს ხარისხის მონიტორინგის პროცესები, რაც ქმნის საფუძველს პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემის ფარგლებში ხდება თანამშრომელთა სუსტი მხარეების გამოვლენა და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა, ხოლო არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში გათვალისწინებულია შესაბამისი რეაგირების მექანიზმები (გადამზადება, როტაცია, დაქვეითება ან გათავისუფლება).

ამასთანავე, აღნიშნულ დოკუმენტში ჩანს პრევენციული მიდგომების ნიშნებიც, მაგალითად, საკადრო საჭიროებების წინასწარ განსაზღვრა (ვაკანსიების დაგეგმვა, საკადრო დეფიციტის იდენტიფიცირება), სტაჟირების სისტემის გამოყენება და ახალი თანამშრომლების ადაპტაციის პროცესი, რაც ხელს უწყობს პოტენციური რისკების ნაწილობრივ მართვას. **3.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცესი რეგულირებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. განსაზღვრული პოზიციების მიხედვით, კადრების შერჩევა ხორციელდება როგორც შიდა, ასევე ღია კონკურსის გზით, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — კონკურსის გარეშე, რაც უზრუნველყოფს მოქნილობას და სამართლებრივ შესაბამისობას.

სკოლაში შემუშავებულია პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის დეტალური მექანიზმი, სადაც მკაფიოდ არის აღწერილი თითოეული ეტაპი — განაცხადების მიღებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. რეგლამენტში განსაზღვრულია პროცედურების ვადები, რაც უზრუნველყოფს პროცესის პროგნოზირებადობასა და ეფექტიან მართვას.

შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნულის დასტურია, სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ვაკანსიები, შესარჩევი კომისიები და მისი შემმადგენლობა და შერჩევის ოქმები.

პერსონალის დანიშვნა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველზე.

სკოლაში ყურადღება ეთმობა პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგებას. თითოეული თანამშრომლის პირადი საქმე სრულად არის ფორმირებული და მოიცავს კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით მოთხოვნილ ყველა აუცილებელ დოკუმენტს, მათ შორის შესაბამის ცნობებს (ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებული ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, ასევე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობებს). **3.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში კადრების დაკომპლექტება სრულად ვერ უზრუნველყოფს საგნობრივი სწავლების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად, მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს. სკოლაში არ არის დასაქმებული ფიზიკის, ასევე მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები, რომლებსაც საგნობირვი კომპეტენცია აქვთ დადასტურებული. რის გამოც აღნიშნული საგნები ისწავლება სხვა სპეციალობის პედაგოგების მიერ შეთავსებით. ფიზიკას ასწავლის **ქიმიისა და ბილოგიის პედაგოგები შეთავსებით,** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის

მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის ბრძანება №108/ნ შესაბამისად. ხოლო მუსიკასა და გამოყენებით და სახვით ხელოვნებას დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, რომელთაც აქვთ აღნიშნული საგნის სწავლების გამოცდილება, ხოლო საბაზო საფეხურზე მოწვეული მასწავლებელი.

სკოლა პერმანენტულად აცხადებს ვაკანსიებს აღნიშნულ საგენბთან მიმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშიც სკოლას აქტიურად ჰქონდა ვაკანსია გამოცხადებული აღნიშნულ საგნებთან მიმართებაში. ხარვეზი : სკოლას არ ჰყავს მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მასწავლებელი, რომელსაც დადასტურებული აქვს შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია. **შესაბამისობის გეგმის განხილვის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია და დადებითად შეაფასა გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები. აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორთან მიმართებით განისაზღვრა შემდეგირეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი - 2026 წლის სექტემბერი) გამოიცხადოს კონკსრუსი და აიყვანოს მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მასწავლებელი, რომელსაც დადასტურებული აქვს შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია.**3.1.2.4. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა სრულად ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულების მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, ფუნქციათა განაწილებისა და საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში მკაფიოდ არის ასახული კოლეგიალურობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომები.

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კოლეგიალური ორგანო (პედაგოგრიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საკონკურსო კომისიები, საგობრივი კათედრები), რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალის აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას, გამოცდილების გაზიარებასა და საერთო მიზნებზე ორიენტირებულ მუშაობას.

შედეგად, სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი, ინკლუზიური და გუნდურობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურა, რაც სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებთან. **3.1.2.5. ინდიკატორი შესაბამისია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და აღიარების პრაქტიკა არის დანერგილი და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. აღნიშნული პროცესი სისტემურ ხასიათს ატარებს და ხორციელდება როგორც კათედრების, ისე სკოლის სხვა კოლეგიალური ფორმატების ფარგლებში. კათედრების მუშაობის პროცესში მასწავლებლები აქტიურად განიხილავენ და

იზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას, მიღწევებსა და ინოვაციურ მიდგომებს, რაც შემდგომში ადაპტირდება მათი ინდივიდუალური და საგნობრივი საჭიროებების შესაბამისად. **3.1.2.6. ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
შინაგანაწესი
საშტატო განრიგი;
საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები;
საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;
თანამშრომელეთა პირადი საქმეები;
შრომითი ხელშეკრულებები თანამშრომლებთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. დოკუმენტს დანართის სახით ახლავს სხვდასხვა კითხვარი, რომელიც გამოიყენება სკოლის თანამშრომლების შეფასებისა და თვითშეფასებისთვის. შეფასების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. **3.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება დაგეგმილია და ხორციელდება კვლევაზე დაფუძნებული მიდგომით. პროფესიული განვითარების საჭიროებები დგინდება კითხვარების საშუალებით, რის საფუძველზეც ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. (კითხვარები თანდართული დოკუმენტის სახით ახლავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს).

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია როგორც გამოვლენილი საჭიროებები, ასევე მათზე რეაგირების კონკრეტული ღონისძიებები, როგორიცაა ტრენინგები და ურთიერთდასწრების პრაქტიკა. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფილია ხარისხის განვითარების ჯგუფის აქტიური ჩართულობით, რომელიც აკვირდება სასწავლო პროცესს, ახორციელებს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და უზრუნველყოფს კონსტრუქციულ უკუკავშირს. **3.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, მხარს უჭერს და მოტივაციას უზრდის კარიერული განვითარების გზაზე. სკოლა მაქსიმალურ მხარდაჭერას გამოხატავს მისი მასწავლებლების მიმართ, რომელთაც სურთ კარიერული წინსვლა თუ პროფესიული განვითარება, მხარდაჭერა გამოიხატება მათი მაქსიმალური ინფორმირებულობით შესაბამისი ტრენინგ კურსებისა თუ მოსამზადებელი პროგრამების გაცნობით. **3.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, თანამშრომელთა სკოლაში ადაპტაციაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარე და მასწავლებლები. აცნობს სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, სტრატეგიულ მიზნებს, ხდება სკოლის დათვალიერება და კაბინეტლაბორატორიების გაცნობა. **3.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წარმატებული თანამშრომლის წახალისება განსაზღვრულია შინაგანაწესით და ასევე გამოიყენება სხვადასხვა ფორმა: საჯარო მადლობა, წარმატების ასახვა სოციალურ ქსელში, ფულადი პრემია. შემუშავების ეტაპზეა სკოლაში წლის საუკეთესო მასწავლებლის შეფასების მექანიზმის სტანდარტები. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს, მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის რესურსით. **3.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშვებული აქვს ხარისხის ჯგუფის დებულება, დებულების ფარგლებში ხარისხის გამვითარების ჯგუფი ფუნქციონირებს, რაც დადებითად აისახება პროცესების კოორდინაციასა და მონიტორინგზე. ასევე აღსანიშნავია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის არსებობა, სადაც განსაზღვრულია შეფასების ზოგადი კრიტერიუმები და პასუხისმგებელი პირები, რაც ხელს უწყობს ობიექტურობისა და სანდოობის პრინციპების დაცვას. სხვადასხვა ფორმით ინფორმაციის შეგროვება და მისი ანალიზი კიდევ უფრო აძლიერებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული მართვის პრაქტიკას.

სკოლაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლზე დაფუძნებული მართვის პრაქტიკა და შექმნილია მისი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი სტრუქტურული და დოკუმენტური საფუძველი. არსებული მიდგომების შემდგომი დახვეწა, განსაკუთრებით მონიტორინგისა და უკუკავშირის ნაწილში, კიდევ უფრო გააძლიერებს სისტემის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებულ მართვას. **შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია დაიხვეწოს

და დეტალურად გაიწეროს მონიტორიგნისა და უკუკავშირის პროცესი. თუ როგორ, რა სიხშირით მოხდება და ფასდება კონკრეტული საქმიანობა. **3.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლას შემუშავებული აქვს თითოეული მმართველი რგოლის ფუნქციები, თანამდებობრივი ვალდებულებები, მაგალითად, დირექტორის მოვალეობები, დირექტორის მოადგილის მოვალეობები, სამეურვეო საბჭოს მოვალეობები, სკოლის ბუღალტრის მოვალეობები, მასწავლებლის მოვალეობები, ბიბლიოთეკარის მოვალეობები და ა.შ. თითოეული ვალდებულება დაკავშირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან. აღნიშნული თანამდებობრივი მოვალეობები გამომდინარეობს საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ და დაკონკრეტებულია თანამდებობრივ ბრძანებაში, ხელშეკრულებებში. **3.3.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლაში არსებობს დეტალურად გაწერილი საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც მოიცავს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას. დოკუმენტში განსაზღვრულია საჩივრის წარდგენის სუბიექტები, განხილვის ორგანოები, პროცედურული ვადები, გადაწყვეტილების მიღების წესი და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მექანიზმები.

აღნიშნული რეგულაცია შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის სისტემის არსებობას, რომელიც ეფუძნება მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებს.

თუმცა, დოკუმენტის ფორმულირებაში შეინიშნება ნორმატიული სტილის გაუმყარებლობა, რაც ვლინდება ხშირი „უნდა“ ფორმის გამოყენებაში. ეს ასუსტებს დოკუმენტის სამართლებრივ სიმყარეს და აჩენს რეკომენდაციული ხასიათის შთაბეჭდილებას. <u>**შესაბამისად სკოლა მიეცა რჩევა**</u>: სასურველია სკოლამ აღნიშნულ დოკუმენტში შეცვალოს სარეკომენდაციო ფორმულირება : მაგალითად „სკოლამ უნდა უზრუნველყოს“ სასურველია შეიცვალოს - სკოლა უზრუნველყოფს; ან “სკოლამ უნდა შექმნას” - სკოლა ქმნის. აღნიშნული სტილი გაამტკიცებს დოკუმენტის სამართლებლივ სიმყარეს. **3.3.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. **3.3.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ხარისხის ჯგუფის დებულება;
საჩივრის განხილვის მექანიზმები;
ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დოკუმენტში იკითხება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები; მაგალითად სამოქმედო გეგმის შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან, განხილვისას ხდება უკუკავშირის მოსმენა და გაზიარება. ეს პროცესი თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. სასკოლო საზოგადოება ერთობლივად შეიმუშავებს კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიული განვითარების გეგმას რომლის მიღება და განხილვა ხდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებაში. ამასთანავე სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. **3.3.2.1ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად. კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემადგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა

მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში.
სკოლაში არსებული ინსტიტუციები მათი ფუნქცია მოვალეობებით ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში როგორც დაგეგმარების, ისე განხორციელების კომპონენტში. **3.3.2.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სსიპ – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის ბალანსზე ირიცხება სამი სასწავლო შენობა, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა მისამართზე: ზემო ახალშენის საჯარო სკოლა, ხეღრუს დაწყებითი სკოლა და განთიადის საჯარო სკოლა.

ავტორიზაციის განაცხადის განხილვისა და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა სკოლის დირექტორის წერილი (MES 4 26 0000436288), რომლის მიხედვითაც სკოლა ავტორიზაციას ითხოვს მხოლოდ ორ მისამართზე — ზემო ახალშენის საჯარო სკოლასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სოფელ ხეღრუს დაწყებით სკოლაზე.

შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა მხოლოდ ორ, ზემო ახალშენის საჯარო სკოლისა და ხეღრუს დაწყებითი სკოლის მისამართებზე.

სკოლისათვის პრიორიტეტულია უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლას აქვს ცალკე გამოყოფილი და აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. სკოლა აწარმოებს სკოლის ეზოსა, გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეო მონიტორინგს რათა დაცული იყოს სკოლის უძრავი და მოძრავი ქონება პოტენციური ხელყოფისაგან. სკოლაში არსებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა სრულად ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და <u>დაფიქსირდა ხარვეზი. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლაში არ იყო უზრუნველყოფილი ვიდეოკამერების საკმარისი რაოდენობით, რის გამოც ვერ ხერხდება ყველა სავალდებულო ზონის სრულყოფილი დაფარვა.</u> არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად გაირკვა, რომ სკოლამ შეიძინა ვიდეოკამერები. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (სასწავლო დაწესებულიების ორივე მისამართზე). აღნიშნული პირის ინფორმაცია გადაგზავნილია მანდატურის სამსახურში, რათა მან გაიაროს შესაბამისი გადამზადება. სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი და შეთანხმებული აქვს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან. აღნიშნულ წესში არ ფიგურირებს სოფელ ხეღრუს დაწებითი სკოლა, შესაბამისად ამ მიმართულებაში გამოიკვეთა ხარვეზი. კერძოდ, ზემო ახალშენის საჯარო სკოლასთან მიერთებულ სსიპ- სოფელ ხეღრუს დაწყებით სკოლას <u>არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს</u>

მიერ; სსიპ- ხელვაჩაურის ზემო ახალშენის საჯარო სკოლას, მისამართზე: ხელვაჩაურის სოფელი ზედა ახალშენი მე-7 ქუჩა N10, აქვს შენობის ექსპლუატაციის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია რომ, სკოლის შენობაში არსებული ბზარების მიუხედავად, არ არსებობს მისი უეცრად ჩამოშლის საშიშროება. სსიპ- ხელვაჩაურის ზემო ახალშენის საჯარო სკოლას სოფელ ხეღრუს დაწყებით სკოლას, არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად გაირკვა, რომ სკოლამ მიმართა შესაბამის სამსახურს აღნიშნული დასკვნის მოსაპოვებლად. სსიპ - ხელვაჩაურის ზემო ახალშენის საჯარო სკოლას, გაკეთებული აქვს მიმართვა, უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; აღნიშნულ მიმართვაში არ ფიგურირებს, სსიპ- სოფელ ხეღრუს დაწყებითი სკოლა არ არის მოხსენიებული, არც მისი მისმართი, გამომდინარე აქედან. სკოლას, სსიპ- სოფელ ხეღრუს დაწყებითი სკოლის მისამართზე არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად გაირკვა, რომ სკოლამ მიმართა შესაბამის სამსახურს აღნიშნული შესაბამისობის მოსაპოვებლად. ხარვეზი: ამასთანავე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით აღსანიშნავია, რომ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის ტერიტორია (მისამართი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა ახალშენი, მე-7 ქუჩა №10) სრულად არ არის შემოსაზღვრული — კერძოდ, ტერიტორიის ნაწილს არ აქვს ღობე, რაც ქმნის უსაფრთხოების რისკებს. დამატებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი შენობა (საპირფარეშო) რომელიც საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებას (არსებობს ჩამონგრევის საშიშროება და ამავე დროს კონფლიქტისა და ბულინგისათვის ხელსაყრელი გარემო). არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად გაირკვა, რომ სკოლამ მოახდინა აღნიშნული შენობა-ნაგებობის უსაფრთოების უზრუნველყოფა (დალუქა არსებული ღიობები).

სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არსებობა და შესაბამისი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას. **შესაბამისობის გეგმის განხილვის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია და დადებითად შეაფასა გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები. აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორთან მიმართებით განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:** 1. შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი) მოიპოვოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; 2. შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. 3.შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი) სკოლამ უზრუნველოს ვიდეო სამთვალყურეო კამერების განთავსება.

3.4.1.1. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას საშტატო განრიგითა და ხელშეკრულებით ჰყავს ექთანი. აქვს სამედიცინო კაბინეტი . შესაბამისად, პირველადი დახმარების საჭიროებისას სკოლის ექთანი ერთვება. ხოლო რაც შეეხება, სსიპ- სოფელ ხეღრუს დაწყებით სკოლას, იქ განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც შეთანხმებულია მანდატურის სამსახურთან და მას ევალება პირველადი დახმარების ვალდებულება. **3.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა გარე პერიმეტრზე აწარმოებს ვიდეო მონიტორინგს რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სკოლის ტერიტორიაზე რაიმე ფორმით უცხო პირების შემოსვლა სკოლის ქონების დაკარგვა და დაცული იყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება. სკოლას დირექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი ჰყავს კოლეგიალური ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. გარდა ამისა, სკოლას სართულზე გასაზღვრული ჰყავს მორიგე მასწავლებლები, რომლებიც ასევე ზრუნავენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება**;

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სასკოლო საზოგადოება ერთიანობაში ქმნის თბილ, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. გარდა ამისა, სკოლაში მასწავლებლები და მოსწავლეები ხშირად გეგმავენ ერთობლივ სასკოლო აქტივობებს და ღონისძიებებს. **3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება**;

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დასაქმებულია დამლაგებელი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ასევე პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სასწავლო გარემოში სისუფთავისა და ჰიგიენური პირობების შენარჩუნებას. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება**;

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში დანიშნულია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი და ზოგადად გათვალისწინებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ამასთანავე, ვიზიტის პროცესში გამოვლინდა ხარვეზი პერსონალური მონაცემების დაცვის პრაქტიკაში. კერძოდ, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორები განთავსებულია ისეთ სივრცეებში (სოფლ ზემო ახალშენის საჯარო სკოლაში - სამედიცინო კაბინეტი და კომპიუტერულ ლაბორატორიაში - სოფელ ხელღრუს საჯარო სკოლაში), სადაც მათზე წვდომა შესაძლებელია არაუფლებამოსილი პირებისთვის.

აღნიშნული გარემოება არ შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 11-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ვიდეოთვალთვალის სისტემა და შესაბამისი ჩანაწერები დაცული უნდა იყოს არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისაგან, და მიუთითებს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა პრაქტიკაში სრულად უზრუნველყოფილი არ არის. არგუნტირებული პოზიციის გაზიარებისას, სკოლამ წარმოადგინა დაცულ სივრცეში განთავსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორები. **ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია და დადებითად შეაფასა გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები. 3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება**;

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **3.4.1.7. ინდიკატორი შეესაბამება**;

8. **ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. ელექტრონულ სისტემებთან წვდომისას, ყველა მომხმარებელს აქვს საკუთარი მომხმარებლის სახელი და პაროლი. ელექტრონული ჟურნალზე წვდომა აქვს ყველა პედაგოგს უნიკალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით. სკოლის ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს Office365 ლიცენზირებული მომხმარებლის სახელი და პაროლი. სკოლის კომპიუტერულ ქსელში ჩართული კომპიუტერები ჩასმულია დომეინში. შესაძლოა ითქვას, რომ ემისის მიერ სკოლაში დაცულია კომპიუტერული ქსელი და მონაცემები, რომლებსაც ინახავს eflow და eschool. **3.4.1.8. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და მისი შეთანხების წერილი;
წერილი შენობის მდგრადობაზე

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
თამბაქოს მოხმარების კონტროლის შიდა რეგულაცია;
საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
დამლაგებლის ხელშეკრულება;
მიმართვის წერილი შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე;
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
თანხმობის ფორმები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზემო ახალშენის საჯარო სკოლის მფლობელობაში ირიცხება სამი სასწავლო შენობა: სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლა, სოფელ ხეღრუს დაწყებითი სკოლა და სოფელ განთიადის საჯარო სკოლა.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლამ სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა ოფიციალური წერილით (MES 4 26 0000436288), რომლის მიხედვითაც ავტორიზაციას ითხოვდა მხოლოდ ორ მისამართზე

მოქმედი საგანმანათლებლო ერთეულებისთვის — ზემო ახალშენის საჯარო სკოლისა და მასთან შერწყმული სოფელ ხეღრუს დაწყებითი სკოლისათვის.

აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მხოლოდ ამ ორ ლოკაციაზე არსებული ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ზემო ახალშენისა და ხეღრუს დაწყებითი სკოლის შენობები და მათი მიმდებარე ტერიტორია.

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის შენობა არის ორ სართულიანი, ორივე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები და ლაბორატორიები, ორივე სართულზე არის სველი წერილი. სკოლის ტერიტორიაზე, ცალკე შენობაში არი სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს ასევე გარე სტადიონი. ამავე ტერიტორიაზე, არის მესამე ნაგებობა - საქვაბე და მეოთხე ნაგებობა (გაუქმებული სველი წერტიები). სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლასთან შერწყმულ სოფელ ხეღრუს საჯარო სკოლა ერთსართულიანია. სკოლის ტერიტორიაზე, არის მეორე შენობა-ნაგებობა - საქვაბე. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, სკოლასთან ახლოს მდებარეობს მონიციპალური სტატიონი.

საკლასო ოთახები აღჭურვილია ძირითადი და აუცილებელი სასკოლო ინვენტარით, მერხები, სკამები, დაფები, თვალსაჩინოებები. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განსაზღვრულ საკლასო ოთახშიდამონტაჟებულია ვიდეოპროექტი. სკოლას საერთო ჯამში, ორივე მისამართზე მოთხოვნი აქვს 320 მოსწავლეზე ავტორიზაცია, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულს დაეთანხმა. **3.5.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია ყველასათვის, გაწერილია სამუშაო განრიგი კომპიუტერული ლაბორატორიისთვის. პირველ სართულზეა ექთნის ოთახი, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი (დიდი ზომის საკლასო ოთახი), სპორტული მოედანი. საერთო სარგებლობის სივრცეები სასკოლო საზოგადოების განკარგულებაშია. მეორე სართულზეა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განსაზღვრულ საკლასო ოთახი. **3.5.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება დადგენილი წესის შესაბამისად. შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს მატერიალური აღრიცხვასა და დამუშავებას, აგრეთვე სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ბიბლიოთეკითა და არსებული ლიტერატურით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკარი აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და მასწავლებლებთან თანამშრომლობით გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა

საგანმანათლებლო და შემოქმედებით პროექტს. ერთ-ერთი ასეთი აქტივობა იყო ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცის“ გამოცემიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება — „პატარა პრინცის კითხვა “.

ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს შთაბეჭდილებების წიგნი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და კითხვის კულტურის განვითარებას.

სკოლი მიმლიოთეკის წიგნადი ფონდი საერთო ჯამში შეადგენს 12840 ერთეულს (წიგნს). მათ შორის არის მხატვრული ლიტერატურა (3271 ერთეული), სასწავლო წიგნები (9569 ერთეული) რომელშიც გაერთიანებულიამეთოდური ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები.

წიგნის საცავი და სამკითხველო დარბაზი ერთ სივრცეშია განთავსებული, რაც ეფექტიანად უზრუნველყოფს რესურსებზე წვდომას. ბიბლიოთეკაში ასევე განთავსებულია კომპიუტერი, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის. **3.5.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის შესასვლელი და პირველი სართული ადაპტირებულია, პირველ სართულზეა ექთნის ოთახი, რესურსოთახი, **არ არის ადაპტირებულია სველი წერტილები** (არც ერთ სართულზე). **სკოლის მეორე სართული არ არის ადაპტირებული** და ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლასთან შერწყმულ სოფელ ხეღრუს დაწყებითი სკოლის შესასვლელი ადაპტირებულია, თუმცა **არ არის ადაპტირებული** სველ წერტილების შესასვლელი. სკოლაში მოწყობილია ერთი საერთო სანიტარიული / სველი წერტილების სივრცე, რომელიც მოიცავს ოთხ კაბინას. აღნიშნულ სივრცეში არის სველი წერტლი გოგოებისა და ბიჭებისთვის. გამიჯნული არ არის სველი წერტილები გოგოებისა და ბიჭებისათვის. **შესაბამისობის გეგმის განხილვის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია და დადებითად შეაფასა გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები. აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორთან მიმართებით განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი - 2027 წლის მაისი) სკოლამ უზრუნველყოს, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლასთან შერწყმულ სოფელ ხეღრუს დაწყებით სკოლაში ადაპიტირებული სველი წერიტლების მოწყობა და სველი წერტილების გამიჯნვა. **3.5.1.4 ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში არსებობდეს სივრცეები: სპორტული დარბაზი, დერეფნები, გარე სპორტული მოედანი, სკოლის ეზო, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განსაზღვრულ საკლასო

ოთახი და ბიბლიოთეკა. ყველაფერი ეს ერთად, მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ, შეიკრიბონ და დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები. **3.5.1.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლა; მასთან შერყმული სოფელ ხეღრუს საჯარ სკოლა);
ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება;
სასაქონლო ზედნადები (წიგნების, მერხების და სხვა ინვერ=ნტარის შესყიდვები);
ვიზუალურ დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია რომელიც აღჭურვილია 17 პერსონალური კომპიუტერითა და ინტერნეტით (სკოლას არ აქვს wifi, ინტერნეტი არის ხაზზე მომუშავე და გარემო პირობებიდან გამომდინარე, ხშირად მუშაობს ხარვეზით). სკოლას, სასწავლო პროცესის წარმართვისთვის, ჯამში აქვს 19 პორტატული კომპიუტერი, 4 ცალი ლაზერული პრიტერი, 1 ფერადი პრინტერი, 2 პროექტორი. **3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. **3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი (ინვენტარიზაციის დოკუმენტი);

ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს დოკუმენტების ბრუნვა, აამაღლოს დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი და უზრუნველყოს დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა. სკოლა საქმისწარმოების პროცესში იყენებს ელექტრონულ სისტემას შესაბამისი ბრძანებების შექმნის მიზნით. მაგ : კლასის დონის დაძლევის ბრძანება, მობილობა, მოსწავლეთა ჩარიცხვა ამორიცხვის და სხვა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში საქმისმწარმოებლის პოზიცია დროებით შეთავსებული ჰქონდა სკოლის დიერქტორს. **3.6.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენებით. სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. სკოლა ელექტრონული სისტემის საშუალებით ახდენს სასწავლო პროცესის წარმართვას მაგალითად eschool სისტემას, სადაც ხდება ცხრილის ატვირთვა, მოსწავლეთა კლასებში განაწილება საგნებისა და მასწავლებლების განაწილება, ასევე eflow სისტემას დოკუმენტბრუნვის საჭიროების შესაბამისად. **3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

დაწესებულება უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის სრულყოფილად, დროულად და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ასახვას, რაც მიუთითებს ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან მართვასა და პასუხისმგებლობის მაღალ დონეზე. **3.6.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. რისი დასტურიც გახლავთ სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურებთან/დაწესებულებებთან. **3.6.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

გაგზავნილი კორესპონდენციები;
მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი პროფილი;
საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ეფექტიანად ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას როგორც ოფიციალური ვებგვერდის, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით. ორივე პლატფორმა ასრულებს როგორც საინფორმაციო, ისე საკომუნიკაციო ფუნქციას — განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და უზრუნველყოფილია დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. სოციალურ ქსელში სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის საქმიანობისა და მიმდინარე აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობას. **3.6.3.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ვებგვერდსა და სხვა საკომუნიკაციო არხებზე განთავსებული ინფორმაცია ასახავს რეალურ მდგომარეობას. დაწესებულება პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარი საქმიანობის, მიღწევების, პარტნიორობებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გასაჯაროებას.

ინფორმაციის სისწორესა და სანდოობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სკოლის დირექტორი, ის არეგულირებს ინფორმაციის განთავსების პროცესს და უზრუნველყოფს, რომ საჯაროდ გავრცელებული მასალა სრულ შესაბამისობაში იყოს რეალურ ფაქტებთან და დადგენილ მოთხოვნებთან. **3.6.3.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლაში აქტიურად მოქმედებს სამეურვეო საბჭო, რომელიც სკოლის საზოგადოების წარმომადგენელია. სამეურვეო საბჭო განიხილავს სხვადასხვა საკითხს და ოქმის სახით უკუკავშირს აწვდის სკოლას. გარდა ამისა, სკოლას აქვს სოციალური გვერდი, სადაც მშობლები კომენტარების საშუალებით გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს. აღნიშნული მიმართულებით სკოლა გეგმავს უკუკავშირის მექანიზმების გაუმჯობესებასა და სისტემატიზაციას.**3.6.3.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი, ქართულ ენოვანი ვებ გვერდი. **3.6.3.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,**

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, რომელიც სრულად შეესაბამება ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოიცავს აუცილებელ ინფორმაციას.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ვებგვერდზე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები ჯერ სრულად არ არის ასახული, რაც დაკავშირებულია სკოლის პირველადი ავტორიზაციის პროცესთან. აღნიშნული დოკუმენტების დამუშავებისა და შედეგების ფორმირების დასრულების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს მათ ეტაპობრივ განთავსებას ვებგვერდზე, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ინფორმაციის სრულყოფილებასა და გამჭვირვალობას.

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც შეიცავს ინდიკატორით გათვალისწინებულ ყვე;ა დოკუმენტს, გარდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმბის შესრულების შედეგებს. მათ განთავსებას სკოლა გეგმავს, მას შემდეგ რაც, აღნიშნული ექნება.

3.6.3.5. ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებგვერდი : www.skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

დაწესებულება ეფექტიანად მართავს ფინანსურ რესურსებს და უზრუნველყოფს მათ მიზნობრივ განაწილებას სკოლის საჭიროებების შესაბამისად. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები რეალისტურადაა შესაბამისობაში არსებულ ფინანსურ რესურსებთან, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტი ადასტურებს როგორც დაგეგმილი, ისე მიმდინარე საოპერაციო ხარჯების უზრუნველყოფას. **3.7.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს ოქმები. **3.7.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმები

სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მისი უფლებები დისციპლინური დევნის შემთხვევაში. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და მის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს. რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე სხვა მარეგულირებლების შესახებ ინფორმაციის დეტალურად მიწოდება სასკოლო საზოგადეობისათვის. **4.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული სკოლაში, განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, რეგულაციები არის გამჭვირვალე და გააზრებული სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს: ა) დისკუსიების/დებატების მოწყობას; ბ) საკლასო/სასკოლო ესეების კონკურსის გამართვას; გ) საკლასო/სასკოლო ნახატების კონკურსის გამართვას; დ) ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებას; ე) როლური თამაშების გამართვას და სხვა აქტივობებს; დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და მასში ასახულ ცვლილებებს, მოსწავლეების უფლებამოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება მშობელთა კრებებზეც. **4.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მოსწავლეთა მშობლებთან /კანონიერ წარმომადგენლებთან, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. ხელშეკრულებას მშობელი ეცნობა წლის დასაწყისში და აწერს მასზე ხელს. **4.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი (ბრძანება/ 2026/26/01 N 01-01/27)
შინაგანაწესი
სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმა
ხელშეკრულებები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან - კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის აღდგენის, საფეხურის დაძლევის შესახებ. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების შესაბამისად. სკოლაში მობილობა ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

სკოლაში მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N113/ნ ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის პირადი საქმის ფორმა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესი"-ს შესაბამისად. კერძოდ მოსწავლის პირად საქმეში მოცემულია მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის ბრძანება (კონკრეტულ, ერთ შემთხვევაში), კლასიდან კლასში გადასვლის ბრძანების ნომერი (საერთო ბრძანება მიბმულია eflow-ზე), საფეხურის დაძლევის ქულა და შესაბამისი ბრძანების ნომერი. **4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მართავს შეხვედრებს მშობლებთან და აცნობს სასწავლო გეგმას, კურიკულუმებს. სასკოლო კლუბები ყალიბდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას, მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. სკოლაში ხაზგასასმელია საკლუბო მუშაობა, კლუბში წევრთა მიღება ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელწერით, აქტივობები საჯაროა და ქვეყნდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. სკოლას არ აქვს დამატებითი ფასიანი მომსახურება. **4.1.2.3 ინდიკატორი შეესაბამება**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არ შეიცავს სამართლებრივ შეუსაბამობებს. სკოლას ჰყავს ვებგვერდისა და სკოლის სოციალურ გვერდის (Facebook) ადმინისრირებაზე პასუხისმგებელი პირი (სკოლის დირექტორი). სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ განახლებას, რაც ამცირებს მოძველებული ან არაზუსტი მონაცემების გავრცელების რისკს და ზრდის ნდობას სასკოლო საზოგადოების მხრიდან.

დამრიგებლები კი დახურულ ჯგუფებში აწვდიან ინფორმაციას მშობლებს. სკოლა იცავს არადისკრიმინაციულობის პრინციპს — გავრცელებული ინფორმაცია არ ანიჭებს უპირატესობას კონკრეტულ ჯგუფებს და უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. **4.1.2.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩრების, აღიარების ბრძანებები;
მოსწავლეთა პირადი საქმეები;
მშობელთა კრების ოქმი;
სადამრიგებლო პორტფოლიოები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასკოლო მზაობას, კლასის დამრიგებლის, მშობლის როლს. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ემზადება მოსწავლეთა დასახვედრად, განსაკუთრებით მოლოდინით მასპინძლობენ პირველკლასელებს. **4.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, პირველკლასელი, სპეციალური საჭიროების მქონე, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას ხელს უწყობს სწავლის დაწყებისთანავე. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს. აღნიშნული

დოკუმენტის მიხედვით სკოლის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირება, ამიტომაც ის დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას და გააადვილოს სასწავლო პროცესში პირველკლასელთა და სხვა სკოლიდან/უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამავე დოკუმენტით ირკვევა,რომ ეს მექანიზმი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსწავლეს სხვა მიზეზებითაც აქვს სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. სკოლაში გადმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი ეცნობა და აცნობს თანაკლასელებს, ათვალიერებინებს სკოლის ინფრასტრუქტურას და უხსნის როგორ გამოიყენოს გარემო ოპტიმალურად, ავსებინებს მოსწავლეს ან მშობელს (ასაკის გათვალისწინებით) კითხვარს ახალი მოსწავლის უკეთ გასაცნობად, პირველკლასელის შემთხვევაში, ყურადღებით ეცნობა ბაღის მასწავლებლისგან მოსწავლის დახასიათებას (არსებობის შემთხვევაში), რათა ზოგადი წარმოდგენები შეექმნას მოსწავლეზე და სკოლა დაეხმაროს მას, საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე, მათ მშობლებზე.

სკოლის წარმოადგენლებთან გასაუბრებისას აიღნიშნა, რომ ამჟამად სკოლაში სწავლობს სხვა რეგიონიდან გადმოსული მოსწავლე, რომელსაც პირველ პერიოდში საკმაოდ გაუჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება. დამრიგებლის თქმით ამ მოსწავლესთან დასაწყისში მიმდინარეობდა ინდივიდუალური მუშაობა, საუბრები,ეტაპობრივად ჩართეს წყვილურ და ჯგუფურ სამუშაოებში საკლასო სივრცესში, წლის ბოლოსთვის კი ეს მოსწავლე სკოლის სრულფასოვანი წევრი იყო. ამჟამად კი თავად ეს მოსწავლე აორგანიზებს სხვადასხვა სასკოლო პროექტებს. **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც პერმანენტულად ესწრებიან გაკვეთილზე მასწავლებლებს (ურთერთდასწრების სახით). შემდგომ ამისა გაიცემა უკუკავშირი. მასწავლებლები გაკვეთილების მიმდინარეობისას აკვირდებიან მოსწავლეებს და გამოკვეთენ საჭიროებებს. საჭიროებების დადგენის შემთხვევაშიმოსწავლეებს სთავაზობს რემდიაციის პროგრამას, ან დიფერენცირებულ მიდგომას (აღნიშნული ასახულია საგნობრივ კურიკულუმებში).

სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება სკოლაში სწავლის შედეგების გაუმჯობესების საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა მხარდაჭერაზე აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც იყენებს განმავითარებელ შეფასებას/თვითშეფასებას, უკუკავშირს ზეპირი თუ წერილობითი კომენტარებითა და რეკომენდაციებით. თუ მოსწავლეს აქვს სირთულეები სწავლის მხრივ, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მოხდება ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა.

სასკოლო პროექტების განხორციელებისას ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და ინტერესების გათვალისწინება, შემაჯამებელი დავალების აღდგენა შესაძლებელია სემესტრის განმავლობაში. მოსწავლეთა გაცდენებით გამოწვეულ აკადემიური ჩამორჩენის დროს მასწავლებლები ინდივიდუალურად მუშაობენ მათთან რემედიაციის ფარგლებში, რათა დაძლეულ იქნეს ეს ჩამორჩენა. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე. მოსწავლეებთან გასაუბრებისას კი აიღნიშნა, რომ შესაძლოა მოსწავლეს არ ჰქონდეს უშუალოდ რემედიაციის საჭიროება, თუმცა ისინი ხშირად რჩებიან სკოლაში და ადგილზევე ამზადებენ პრეზენტაციებს თუ სხვა პროექტებს,ამ დროს კი პედაგოგები მუდმივად უჭერენ მხარს, სკოლის სივრცეს იყენებნენ სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. **4.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ძირითადი და ზოგადი მექანიზმები. სკოლაში სწავლობს 4 სსსმ მოსწავლე (III,IV,VIII, Xკლასებში). შექმნილია ისგ ჯგუფი, სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, გამოყოფილია რესურსოთახი სადაც ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა. მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ხორციელდება. ამიტომ სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებისა და მათ მშობლების/კანონიერ წარმომადგენლებისათვის მკაფიოდაა მიწოდებული უფლება ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. **4.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომლელიც მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებას, სასწავლო ექსკურსიებს; სკოლის თვითმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განხორციელდა არაერთი აქტივობა და პროექტი. სკოლა აქტიურადაა ჩართული სასკოლო და რეგიონული მასშტაბით სხვადასხვა სპორტულ თუ ინტელექტიუალურ აქტივობებში. სკოლაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოფენილი მიღწეული წარმატებების დამადსტურებელი სიგელები და თასები. სკოლა ხშირად აწყობს საქველოქმედო ღონისძიებებს მონიციპალიტეტის ფარგლებში. აღსანიშნავია, ისიც, რომ სკოლა თემის განვითარებაზეც ზრუნავს. მიმდინარე წელს განხორციელდა სამოქალაქო განათლების პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეძლეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობის ჩართვა და მათი დახმარებით სკოლის გზაზე

დამონტაჟდა ე.წ მწოლიარე პოლიციელი და დაიხატა ზებრა-გადასასვლელი. სკოლაში ფუნქციონირებს ლიტერრატურული კლუბი ,, სიმშივდე სულისა“,აღნიშნული კლუბის ფარგლებში წლის განმავლობაში ხორციელდება არაერთი საინტერესო შეხვედრა თუ ღონისძიება.

გამორჩეულია ახალგაზრდა გეოგრაფიის პედაგოგის ჩართულობა არაფორმალური განათლების მიმართულებით, რომელიც მოსწავლეების თხოვნით აწყობს სკოლაში ინტელექტუალურ თამაშებს, ასევე თვითმმართველობის ინიციატივითა და მისი ჩართულობით განხორციელდა ლაშქრობები და გასვლითი შემეცნებითი ტურები რეგიონის ფარგლებში. (სიონის მთა, კავიანი ციხე, ბეშუმის ალპური ტყის ზონა...)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლაში სწავლობს სხვადასხვა რელიგიის მოსწავლეები,ხშირად ეწყობა შეხვედრები და ღონისძიებები კულტურიული თუ ეროვნული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. **4.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

დირექტორის განცხადებით, სკოლა ცდილობს, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის საშუალებით მოსწავლეთა და მშობელთა მოლოდინებისა და ინტერესების იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას სასწავლო პროცესში; ასევე მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. დირექტორის აღწერით, სკოლაში არსებობს მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების პრაქტიკა, მათ შორის მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების მიმართულებით, ამიტომ პერიოდულად ტარდება ზეპირი გამოკითხვები, ზეპირი ინტერვიუირება იმ მიზნით, რომ ბავშვებს შეეძლოთ, სურვილის შემთხვევაში, გაუზიარონ თავიანთი აზრი მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. გარდა ამისა, დამრიგებლების მიერ ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. აღნიშნული გამოკითხვები ტარდება ზეპირად. **4.2.1.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის ადაპტაციის წესი
სასკოლო სასწავლო გეგმა
სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეთა მიერ კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის ამაღლების კუთხით მუშაობენ კლასის დამრიგებლები. სადამრიგებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ პროფესიებზე ნათელი წარმოდგენის შექმნა, რათა მათ გააცნობიერონ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობა პროფესიის არჩევის დროს, შეძლონ აირჩიონ მათთვის შესაბამისი პროფესია საკუთარი შესაძლებლობებისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით. სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს, სკოლას სტუმრობენ სხვადასხვა პროფესიული სასწავლო დაწესებულებების წარმოადგენლები. გარდა ამისა, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან სკოლაში ადგილზე ხდება საინფორმაციო შეხვედრები, ტოვებენ საინფორმაციო ბროშურებს. შემდეგ კი პედაგოგები დეტალურ ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეებს ამა თუ იმ პროფესიის თუ უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. **4.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **4.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება განსაზღვრულია როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, განსაკუთრებით სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების კუთხით. დირექტორთან და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რეგულარულად ახორციელებს კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ახდენს შემდგომი საქმიანობის კორექტირებას.

სკოლა ნაწილობრივ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც დასტურდება საკლუბო საქმიანობების დანერგვის პროცესით. აღნიშნული მიუთითებს, რომ უკუკავშირის შედეგები გარკვეულწილად აისახება დაგეგმვის პროცესში.

ამასთანავე, გამოვლინდა, რომ სკოლაში ნაკლებად არის დანერგილი მომსახურების ხარისხის შეფასების სისტემური, სტრუქტურირებული და დოკუმენტურად დადასტურებული პრაქტიკა. **სკოლას მიეცა რჩევა,** სასურველია სასკოლო

საზოგადოები საჭიროებების კვლევა დოკუმენტურად იყო გაფორმებული, ხოლო მიღებული შედეგები სისტემურად გაანალიზდეს და გამოყენებულ იქნას სკოლის განვითარების დაგეგმვის პროცესში. ასევე, მიზანშეწონილია მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სხვა საინიციატივო ჯგუფების აქტიური ჩართულობა როგორც მონაცემთა შეგროვების, ისე მათი ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. **4.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები
თვითმმართველობის დოკუმნეტაცია

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მკაფიო და სრულყოფილი მექანიზმი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებასთან. შიდა რეგულაციებში დეტალურად არის განსაზღვრული სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და მონიტორინგის პროცედურები, პასუხისმგებელი პირები და ვადები.
სკოლა ავლენს მზადყოფნას ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის — შექმნილია შესაბამისი ჯგუფები დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრულია შიდა მონიტორინგის მექანიზმები.
ავოტრიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავს 4 სსსმ მოსწავლე და ერთი სპეციალური მასწავლებელი.
4.2.3.1. ინდიკატორი შეესაბამება.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

თითოეულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქოენ მოსწავლეზე, დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინდივიდუალურ სასწავლოგ ეგმაზე მომუშავე ჯგუფი. თითოეული ჯჯგუფის მიერ შემუშავებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, მოსწავლეზე დაკვირვებით ეტაპობრივად ხორციელდება შეფასება (სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში)

და გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ყველა იმ საგანში, რომელშიც მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური საჭიროება დადგენილი. სკოლის შენობაში გათვალისწინებულია სივრცე - რესურსოთახი, აღჭურვილი საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით.

სკოლაში სპეციულური საგანმანათებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წინსვლის და განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. **4.2.3.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ მოსწავლესათვის ისგ- ჯგუფის შექმნის ბრძანება

სსსმ მოსწავლის ინივიდუალური სასწავლო გეგმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას აქვს არასავალდებულო ხასიათის დამატებითი მომსახურება: ტრანსპორტირების სერვისი. ტრანსპორტირების სერვისი მოქმედებს 2 კმ-ზე დაშორებით მცხოვრები მოსწავლეებისთვის, სერვისის ღირებულების დაფარვა ხდება მუნიციპალური ხარჯებით. ტრანსპორტირება ხდება დამტკიცებული მარშრუტებისა და განრიგის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს დამფინანსებელი სკოლასთან შეთანხმებით, მოსწავლეთა უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით (3 მიკროავტობული და 3 მძღოლი). სკოლას განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტირების მომსახურების ტაბელის აღრიცხვის წარმოებაზე და ხელმოწერაზე პასუხიმგებელიპირი. სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართი, გაიჯარავებულ ტერიტორიაზე, ფუნქციონირებს ფუფეტი, აღნიშნულ ტერიტორიაზე იყიდება მხოლოდ მზა სახის პროდუქტი. სკოლის ბუფეტი რეგულარულად გადის შესაბამისი

სპეციალური სამსახურებისგან მონიტორინგს, მათ შორის გაყუდვაში არსებული პროდუქტების და სასმელი წყლის შესახებ.

4.2.4.1. ინდიკატორი შეესაბამება.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **4.2.4.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებების განხორციელებისას სრულად იცავს მოქმედი მოთხოვნების არსს და უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით. სკოლა დამატებითი მომსახურებების მიწოდებისას მოქმედებს პასუხისმგებლიანად, სისტემურად და სრულ შესაბამისობაში აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებთან. **4.2.4.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბუფეტის სივრცის იჯარით გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
ონიტორინგის დამადასტურებელი მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი საფეხურზე)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი საგანმანათლებლო პროგრამა საბაზო საფეხურზე)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი საგანმანათლებლო პროგრამა საშუალო საფეხურზე)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,რომელიც დამტიცებულია სკოლის დირექტორის მიერ **2025 წლის 26 დეკემბრის N01-02/51 ბრძანებით.** დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1.1. რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი;

1.2. სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი;

1.3. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები;

1.4. პროცესში ჩართული მხარეები;

1.5. ძირითადი პროცესები:

1.6. კავშირი სხვა პროცესებთან.

აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილი მეთოდოლოგია შესაძლებელს ხდის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნას სასკოლო საზოგადოების ინტერესები. <u>**სკოლას მიეცა რჩევა**</u> : სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია კიდევ უფრო დაკონკრეტდეს და მეტად ასახავდეს სკოლის სპეციფიკასა და საჭიროებებს; მიზანშეწონილია, დამატებით გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების, მისი ანალიზისა და შეფასების, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კურიკულუმში ცვლილებების შეტანის, ასევე პროცესის პერიოდულობის, განხილვის ფორმატისა და დამტკიცების ვადების უფრო დეტალური აღწერა, რაც ხელს შეუწყობს პროცესის სისტემურობასა და ეფექტიანობას.

2.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების პროცესში უშუალო და უმთავრესი რგოლი დებულების თანახმად არის მასწავლებელი. კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების პროცესში მასწავლებლებისა და დირექციის უმთავრესი ვალდებულებები უკავშირდება უშუალოდ სასწავლო პროცესს. ამავე დოკუმნეტის თანახმად მასწავლებელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და კურიკულუმის შემუშავებისას დაეყრდნოს შესაბამის ანალიზს, რომელშიც გამოიკვეთება სასკოლო საზოგადების ინტრერესები და საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ

თავისებურებებს. **<u>სკოლას მიეცა რჩევა</u>** : სასურველია, სკოლამ წინასწარ განსაზღვროს გამჭვირვალე და სტრუქტურირებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების სისტემურ გამოვლენას. სასურველია, ინფორმაციის მოპოვება არ დაეფუძნოს მხოლოდ ზეპირსიტყვიერ კომუნიკაციას და დამატებით განხორციელდეს რეგულარული კვლევები (მათ შორის ელექტრონული ფორმით), რაც გაზრდის პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას. სასურველია, აღნიშნული კვლევები მოიცავდეს სასკოლო საზოგადოების ყველა ძირითად მხარეს — მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლას (მასწავლებლებს/ადმინისტრაციას) — და მათი შედეგები გამოყენებულ იქნას კურიკულუმის შემდგომი განვითარებისთვის.

2.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმნეტში (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) დეტალურად გაწერილია თუ როგორ, რა ეტაპების დაცვით უნდა მოხდეს კურიკულუმის შემუშავება და მასში საზოგადოების ჩართვა. კათედრების ოქმები ასახავს კურიკულუმის შემუშავების სამუშაო პროცესებს.გასაუბრებისა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს კათედრების სხდომებზე განიხილავენ შედეგებს,გამოკვეთილ პრობლემებს და შესაბამისად მათი აღმოფხვრის გზების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებსა და სამუშაო გეგმებს. **2.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა- სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში განხორციელდება მშობელთა ინფორმირების გზით.

მშობლებთან გასაუბრებისას აღნინშნა, რომ სწავლის დაწყებამდე მშობელთა კრებაზე დამრიგებელი მშობლებს ახვედრებს საგნების პედაგოგებს და აცნობს შემუშავებულ კურიკულუმებს, განიხილავენ წლიურ გეგმებს დასაწყისშივე. **2.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

,, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,
ბძანება N 01-02/51
კათედრების ოქმები
მშობელთა კრების ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას სამივე საფეხურზე აქვს მოსწავლის ინტერესებზე, მის განვითარების პროცესებზე ორიენტირებული კურიკულუმები. **2.1.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების პროგრამების მიხედვით. სათანადოდაა გაწერილი ცნებები, თემა, საკითხი და ა.შ. გამონაკლისი კურიკულუმების დახვეწისთვის სკოლას მიეცა რჩევა გასაუბრებაზე. პედაგოგებს ჰქონდათ სათანადო უკუკავშირი და იზრუნეს შეუსაბამობების გამოსწორებაზე. დანარჩენი კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **2.1.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებები ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. **2.1.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმების, კომპლექსური დავალებებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მეტწილად მოსწავლეზეა ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები აგებულია სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე და საკვანძო შეკითხვებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. დავალებებში იკვეთება პროცესზე ორიენტირებული მიდგომა — აღქმა, გააზრება, ინტერპრეტაცია და შექმნა. თუმცა, კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ:

	• სხვადასხვა კლასში სტრუქტურა არ არის ერთგვაროვანი და ზოგ შემთხვევაში ფრაგმენტულია; • ხელოვნებაში, როგორც დაწყებითი, ისე საბაზო კლასის ზოგიერთ კურიკულუმში თემატური ბლოკის გრაფაში თემა წერის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწინებული თემატური ბლოკები კი, საერთოდ არ არის მითითებული (4-ე, 5-, 9-ე კლასები); **რჩევა:** ხელოვნების ზოგიერთ კურიკულუმბში მიენიშნოს თუ რომელ სავალდებულო თემატურ ბლოკს განეკუთვნება ესა თუ ის თემა. კურიკულუმების სტრუქტურა უფრო მკაფიო და სტრუქტურირებული გახდეს. **2.1.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას . **2.1.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები, რომლებიც შემუშავებულია სტანდარტებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნობრივ. მასში გაწერილია ის გზები და საშუალებები, რომლის საფუძველზე ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საშუალებებს. დაგეგმილი და შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს მოსაზრებას , რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას **რჩევა:** ინტერვიუს დროს გაჟღერებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები ჩაიწეროს კურიკულუმში. თემის, საკითხის სვეტი სრულყოფილად იყოს შევსებული. **2.1.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას,

	სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შდეგი კი ასახულია სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში. **2.1.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში თითოეული სამიზნე ცნების გასწვრივ მკაფიოდაა გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, რაც უზრუნველყოფს, რომ სწავლება მიმართულია გააზრებაზე და არა მექანიკურ დამახსოვრებაზე. კურიკულუმები აჩვენებს მოსწავლის განვითარების ლოგიკურ გზას. მაგალითად, „პირობითი ნიშნების“ შესწავლა მე-2 კლასში იწყება მარტივი სიმბოლოებით და მე-4 კლასში გადადის ვიზუალურ პროგრამირებაში, რაც მოსწავლის ასაკობრივ და შემეცნებით მზაობაზეა მორგებული. მე-5 კლასის კომპლექსური დავალება („ანიმაციის შექმნა Scratch-ში“) არის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის საუკეთესო მტკიცებულება. დავალება მოსწავლეს სთავაზობს რეალურ, შემოქმედებით კონტექსტს. მოსწავლე თავად ხდება „შემქმნელი“, რაც ზრდის მის მოტივაციას და ჩართულობას. დოკუმენტში წარმოდგენილი შეკითხვები (მაგ: „როგორ დაგეხმარა ალგორითმის ცნების ცოდნა დავალების შესრულებაში?“) ორიენტირებულია მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე — მოსწავლე აანალიზებს საკუთარ სწავლის პროცესს. **2.1.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო გარკვეულწილად წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გარდა ბუნებისმეტყველებისა. შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები, გარდა I კლასის ქართული ენის და ლიტერატურის კურიკულუმის ანბანის შემდგომი პერიოდისა. შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, პედაგოგებმა გასაუბრებაზე დაგვიდასტურეს აღნიშნული. **რჩევა:** ქართულ ენასა და ლიტერატურაში I კლასის კურიკულუმის ანბანისშემდგომ პერიოდში გაიწეროს შემოქმედებითი პროდუქტი რომელიც გრძელვადიანი მიზნის დამუშავებას უზრუნველყოფს. ბუნებისმეტყველებაში III-IV კლასის კურიკულუმში სასწავლო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. საგან მე და საზოგადოებაში III-IV კლასში თითოეულ თემაში გაიწეროს ხუთივე სამიზნე ცნება. მათემატიკის I,III,IV კლასის კურიკულუმები აგებულ იქნას ისევე როგორიც წარმოდგენილია II კლასისთვის. ასევე

	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში მითითებულ იქნას, სასწავლო საათები როგორც ჯამურად ასევე თემების მიხედვით, ყველა კლასში. **2.1.2.1.ინდიკატორი შეესაბამება.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და მის მოთხოვნებს. მოსწავლეს საგნობრივ ცოდნასთან ერთად უვითარებს ფუნქციურ კომპონენტურ უნარებს. **2.1.2.2.ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმა-ში გაწერილ იდეებთან აუცილებელია, რადგან ის უზრუნველყოფს სწავლების თანმიმდევრულობას, ხარისხსა და მიზნობრიობას. ეროვნული ჩარჩო განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა მიიღოს, რის მიხედვითაც კურიკულუმი თავიდან აცილებს ფრაგმენტულ სწავლებას. ამასთან, იგი ხელს უწყობს განათლების თანასწორობას სხვადასხვა რეგიონში და ეფუძნება თანამედროვე პრინციპებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა. საბოლოოდ, ასეთი შესაბამისობა ამარტივებს შეფასებას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა რეალური პროგრესის განსაზღვრას. სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი პროდუქტის იდეები წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, განსაზღვრულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, რასაც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი პროდუქტი. მათი განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის.

	ცალკეული კურიკულუმების ფარგლებში, სკოლას **მიეცა რჩევა** მეტად დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალების პირობა, რაც ხელს შეუწყობს მის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ცნებებთან შესაბამისობის მიღწევას. **2.1.2.2.ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	**უცხოური ენები** ორივე უცხო ენის კურიკულუმების ჩარჩოში მოცემულია თემების დასახელება, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები შუალედური მიზნის სახით, გასავლელი საკითხები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებით შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევა, თუმცა მათ ნაწილში ვხვდებით გარკვეული ტიპის შეუსაბამობებს. კერძოდ: ➢ რუსული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში **არასწორადაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებები**. მოცემულია ცნება ჟანრი, რომელიც ეროვნული სასაწავლო გეგმით არაა განსაზღვრული დაწყებითი საფეხურისთვის. ასევე, **აღნიშნული ცნების გარდა კურიკულუმებით არ იფარება არცერთი სხვა სამიზნე ცნება.** ➢ ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ნაწილში ხვდებით შემდეგი სახის უზუსტობებს: 1) **წარმოდგენილია ზედა საფეხურის სამიზნე ცნებები/ქვესაკითხები.** მაგალითად, მე-6 კლასის რუსული ენის კურიკულუმში მოცემულია ჟანრი, რომელიც არაა განსაზღვრული დაწყებითი საფეხურისთვის. **2)** რიგ შემთხვევებში არ **მუშავდება ყველა** საიზნე ცნება. ➢ **ორივე უცხოური ენის კურიკულუმებში შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების პირობები არის მოკლე,** რიგ შემთხვევებში ბუნდოვანი და ჭირს გაგება, თუ რისი გაკეთება ევალება მოსწავლეს, რამდენად უზრუნველყოფს იგი იმ კონკრეტული თავის შეჯამებას და თანხვედრაშია თუ არა თემის ფარგლებში წარმოდგენილ სამიზნე ცნებებთან/საკითხებთან. მაგალითად, მე-5 კლასის რუსული ენის კურიკულუმის პირველ თავში შემოქმედებით დავალებად წერია ‘‘ლეპბუკის შექმნა’’ და არაა მითითებული რას მოიაზრებს ეს დავალება. დეტალების გარეშეა მოცემული ამავე კურიკულუმის სხვა შემოქმედებითი დავალების პირობებიც. ➢ **ორივე უცხოური ენის შემთხვევაში, კურიკულუმების ნაწილში, სამიზნე ცნებები წარმოდგენილია ზოგადი სახით** და არაა დაკონკრეტებული, თუ რა კონკრეტული საკითხები იფარება ამა თუ იმ თემით თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით **<u>საბაზო საფეხური:</u>**

	ორივე უცხოური ენის კურიკულუმების ჩარჩოში მოცემულია თემების დასახელება, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები შუალედური მიზნის სახით, გასავლელი საკითხები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებით შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევა, თუმცა მათ ნაწილში ვხვდებით გარკვეული ტიპის შეუსაბამობებს. კერძოდ: ➢ **ორივე უცხოური ენის კურიკულუმებში შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების პირობები არის მოკლე, რიგ შემთხვევებში ბუნდოვანი და ჭირს გაგება, თუ რისი გაკეთება ევალება მოსწავლეს, რამდენად უზრუნველყოფს იგი იმ კონკრეტული თავის შეჯამებას და თანხვედრაშია თუ არა თემის ფარგლებში წარმოდგენილ სამიზნე ცნებებთან/საკითხებთან.** მაგალითად, მე-7 კლასის რუსული ენის კურიკულუმის მე-3 თავის შემოქმედებით დავალების მიხედვით მოსწავლემ უნდა მოამზადოს დიალოგი ნასწავლი გრამატიკული და ლექსიკური ერთეულების გამოყენებით და აღარაა მოცემული დეტალები: დიალოგის თემა, კონკრეტული საკითხები რაზეც მოსწავლმ უნდა ისაუბროს დიალოგის გათმაშებისას და ა.შ. რუსული ენის მე-8 კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი შემოქმედებითი დავალებაა: ‘’ მოსწავლეებმა შეძლონ სადღესასწაულო მენიუს შედგენა და მინი დიალოგების შედგენა გათამაშება კლასში. ამისათვის ისინი გამოიყენებენ ნასწავლ გრამატიკულ და ლექსიკურ მასალას’’ დავალების პირობიდან არ იკითხება თუ რაზე უნდა გაითამაშონ დიალოგი, სადღესასწაულო სუფრაზე მიმდინარე დიალოგი, მათი შედგენილი მენიუების წარდგენა და ერთმანეთისთვის კითხვების დასმა თუ რა კონკრეტული დიალოგის გათამაშებაზეა საუბარი. ამავე უცხოური ენის მე-9 კლასის კურიკულუმის პირველი თემა არის განათლება, ხოლო შემოქმედებითი დავალება მოსწავლეებს სთხოვს მათთვის საინტერესო ცნობილ/გამოჩენილ ადამიანებზე ინფორმაციის მოძიებას. თემის შემოქმედებითი დავალება მოსწავლეს სთხოვს ოჯახის თემატიკაზე მოამზადოს დიალოგი და გამოიყენოს ნასწავლი გრამატიკული და ლექსიკური მარაგი, ხოლო სამიზნე ცნებების საკითხებსა და ქვესაკითხებში თემად გამოტანილი აქვს ახალი წელი საქართველოსა და სხვა ქვეყნებში. რუსული ენის მე-6 კლასის კურიკულუმის მეორე თემის შემოქმედებითი დავალების მიხედვით მოსწავლემ ნასწავლი გრამატიკლი და ლექსიკური ერთეულების გამოყენებით ევალება ცხოველების დასახელება. ბუნდოვანია თუ როგორ უზრუნველყოფს მხოლოდ ცხოველების დასახელება

	საკითხებში წარმოდგენილი მასალის შეჯამებას. კერძოდ ცხოველების აღწერას, ზედსართავი სახელებისა და კუთვნილებითი ბრუნვის გამოყენებას. ➢ **ორივე უცხოური ენის შემთხვევაში, კურიკულუმების ნაწილში, სამიზნე ცნებები წარმოდგენილია ზოგადი სახით** და არაა დაკონკრეტებული, თუ რა კონკრეტული საკითხები იფარება ამა თუ იმ თემით თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით **<u>საშუალო საფეხური</u>** **უცხოური ენები** ორივე უცხოური ენის კურიკულუმების ჩარჩოში მოცემულია თემების დასახელება, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები შუალედური მიზნის სახით, გასავლელი საკითხები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებით შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევა, თუმცა მათ ნაწილში ვხვდებით გარკვეული ტიპის შეუსაბამობებს. კერძოდ: ➢ **ორივე უცხოური ენის შემთხვევაში, კურიკულუმების ნაწილში, სამიზნე ცნებები წარმოდგენილია ზოგადი სახით** და არაა დაკონკრეტებული, თუ რა კონკრეტული საკითხები იფარება ამა თუ იმ თემით თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით **რჩევა:** უმჯობესია, უცხოური ენის კურიკულუმებში რესურსებში მითითებული იყოს მოსწავლის წიგნისა და სამუშაო რვეულის ის კონკრეტული გვერდები, რომლებიც განსაზღვრულია ამა თუ იმ თემისთვის. ასევე, სასურველია გადაიხედოს ორივე ენის კურიკულუმები და გასწორდეს ის შინაარსობრივი აცდენა, რაც რიგ შემთხვევებში გვხვდება გრაფის დასახელებასა და მის შინაარსობრივ ნაწილში. მაგალითად, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მოცემული საკითხთა ჩამონათვალი ეწეროს საკითხებში, ხოლო კონტექსტ მაგალითში, აქტივობები ან იმ დავალების კონკრეტული ნიმუში, რასაც შემოქმედებითი დავალება მოიაზრებს. ასევე, სასურველია უცხოური ენების კურიკულუმებს ჰქონდეთ ერთიანი ფორმატი და წარმოდგენილი იყოს ქართულ ენაზე. იმ კურიკულუმებში, სადაც არ ხდება ყველა თემის შეჯამება და ხდება თემების გაერთიანება, სასურველია ეს მითითებული იყოს კურიკულუმში და შემოქმედებითი დავალებაც გადიოდეს გაერთიანებული თემების ფარგლებში შესასწავლ საკითხებზე. **2.1.2.2.ინდიკატორი შეესაბამება.**

ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ორიენტირებულია როგორც ცოდნის, ისე უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება: • ხელოვნებისა და მუსიკის ელემენტების და პრინციპების გააზრებაზე; • სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის კონტექსტში ხელოვნების აღქმაზე; • შემოქმედებით და ანალიტიკურ უნარებზე. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში: • გრძელვადიანი მიზნები ფორმალურად არის წარმოდგენილი და ნაკლებად უკავშირდება კონკრეტულ აქტივობებს; • ცნებებსა და სასწავლო შედეგებს შორის კავშირი ყოველთვის მკაფიოდ არ იკვეთება; • ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულო თემატური ბლოკები არ არის განსაზღვრული. **რჩევა:** სასურველია ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო შედეგებს შორის კავშირი უფრო მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი დაწყებით და საბაზო საფეხურზე. **2.1.2.2.ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში დასამუშავებელი თემების ფარგლებში წარმოდგენილი ტექსტები, მათთან დაკავშირებული აქტივობები და შემოქმედებითი დავალებები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს , უზრუნველყოფს მიზნის შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას და საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **რჩევა:** ყველა თემაში იყოს მითითებული სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებების დასახელება დაზუსტდეს ახალი სტანდარტის მიხედვით. **2.1.2.2.ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირად არის სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანთთან. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა:

	კრიტიკული, შემოქმედებიითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარება. **2.1.2.2.ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერაქრქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვის, უსაფრთხოების დაცვის, სამართლიანი თამაშის წესების დაცვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **2.1.2.2.ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის ტექნოლოგიების კურიკულუმი ცალსახად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში თითოეული თემა აგებულია ესგ-ს სავალდებულო სამიზნე ცნებებზე. კურიკულუმი ორიენტირებულია არა ფაქტობრივი მასალის დაგროვებაზე, არამედ ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული), რაც ესგ-ს ფუნდამენტური მოთხოვნაა. მაგ: მე-5 კლასის კომპლექსური დავალება „ანიმაციის შექმნა Scratch-ში“ მოსწავლეს სთხოვს არა მხოლოდ ბლოკების გადაადგილებას (პროცედურული), არამედ იმის გააზრებას, თუ როგორ და რატომ მუშაობს ალგორითმი (პირობისეული). დოკუმენტაციაში მკაფიოდ ჩანს, რომ ერთი და იგივე სამიზნე ცნება კლასიდან კლასში რთულდება და ფართოვდება. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს სიღრმისეულად აქვს გააზრებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები; იგი ეფექტიანად იყენებს საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმის შემუშავების პროცესში და გეგმავს მის შემდგომ დახვეწას მიღებული გამოცდილების საფუძველზე. **2.1.2.2.ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, შუალედური სასწავლო მიზნები გაწერილი აქვთ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალების **რჩევა:** საგან მე და საზოგადოებაში III-IV კლასში თითოეულ თემაში გაიწეროს ხუთივე სამიზნე ცნება. **2.1.2.2.ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმების ჩაშენებულ რესურსებში სამივე საფეხურზე ჩანს როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ონლაინ რესურსები, რომელსაც იყენებენ სწავლების პროცესში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. დაწყებითი საფეხური/ბუნებისმეტყველება **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია (დაწყებით საფეხურზე) ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები) ასევე სპეციალურად შემუშავებული რესურსები, რასაც თავად იყენებენ სასწავლო პროცესში: დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღმწერები. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი პირდაპირ განსაზღვრავს, რამდენად ეფექტურად შეძლებს მოსწავლე დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. კარგად შერჩეული და მიზანმიმართული რესურსები ამარტივებს რთული საკითხების გაგებას, აძლიერებს ინტერესს და ხელს უწყობს აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. თუ რესურსები შეესაბამება კურიკულუმის მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს, სწავლა ხდება უფრო პრაქტიკული, გასაგები და შედეგზე ორიენტირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც კარგად დაგეგმილი კურიკულუმი ვერ მიაღწევს სასურველ შედეგებს, რადგან მოსწავლეს არ ექნება შესაბამისი საშუალებები ცოდნისა და უნარების ეფექტურად გასავითარებლად. კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში თითოეულ სასწავლო თემას მითითებული აქვს შესაბამისი სასწავლო რესურსი. სასწავლო რესურსებში მოცემულია გრიფირებულ სახელმძღვანელოდან საკითხები და დამატებითი წყაროები. მოცემული სასწავლო რესურსები უშუალო კავშირშია სამიზნე ცნებებთან, მის მკვიდრ წარმოდგენებთან და საგნოგრივ საკითხებთან, რომლებიც უნდა იქნას გააზრებული სწავლა-სწავლების პროცესში და უზრუნველყოს სწავლის შედეგები. სკოლას მიეცა **რჩევა** ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს რესურსები. მაგ: ისტორიის სწავლებისას ეფექტურია **პირველწყაროები** (დოკუმენტები, წერილები, ქრონიკები), **ვიზუალური მასალა** (ფოტოები, რუკები, ისტორიული ფილმები), ასევე დისკუსიები და როლური თამაშები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს სხვადასხვა ეპოქის უკეთ გააზრებაში.

	გეოგრაფიაში მნიშვნელოვანია **რუკები (როგორც ბეჭდური, ისე ციფრული), ატლასები, გლობუსები, სატელიტური გამოსახულებები და ინტერაქტიული პლატფორმები,** როგორიცაა Google Earth. ასევე სასარგებლოა საველე კვლევები, გარემოზე დაკვირვება და მონაცემთა ანალიზი, რაც ხელს უწყობს სივრცობრივი აზროვნების განვითარებას. სამოქალაქო განათლების სწავლებისას კი რეკომენდებულია დებატები, სიმულაციები (მაგალითად, არჩევნების ან სასამართლო პროცესის), რეალური კანონების და შემთხვევების განხილვა, მედია რესურსების გამოყენება და სტუმარი სპიკერები. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას კურიკულებში მითითებული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა უმეტეს შემთხვევებში არაა მითითებული კონკრეტულად რომელი გვერდებით ხდება ამა თუ იმ თემის ფარგლებში წარმოდგენილ საკითხებზე მუშაობა. რესურსების ნაწილი უმეტეს შემთხვევებში წარმოდგენილია ზოგადი სახით, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, დაფა ცარცი, ვიდეო რგოლი და ა.შ და არაა კონკრეტიკა. ასევე, თითქმის არ არის მოცემული დამატებითი მასალები, რომლებიც უზრუნველყოფდა რესურსების მრავალფეროვნებას. ზემოთ ხსენებული საკითხების მიუხედავად, რადგან სკოლას კურიკულუმებში მითითებული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები, შეგვიძლია **რჩევა:** სასურველია, უცხოური ენის კურიკულუმებში რესურსები გაწერილი იყოს კონკრეტულად: სახელმძღვანელოდან და მოსწავლის რვეულიდან მითითებული იყოს ის კონკრეტული გვერდები, რომლებითაც იფარება კონკრეტული თემის ფარგლებში მისაღწევი საკითხები. ასევე, კარგი იქნება, თუ დაემატება დამატებითი მასალებიც, რათა სასწავლო რესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის რესურსები - სახელმძღვანელოები, აუდიო და ვიზუალური მასალა. კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ რესურსები ზოგადად შესაბამისობაშია სასწავლო თემებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. თუმცა, გამოვლინდა რიგი საკითხები: • ხელოვნების კურიკულუმებში მითითებულია გამომცემლობა „დიოგენე“, მაშინ როდესაც გრიფირებული სახელმძღვანელო არის გამომცემლობა „კლიო“; როგორც ინტერვიუთი დგინდება, დიოგენესაც იყენებენ მასწავლებლები სასწავლო რესურსად.

	• ზოგ შემთხვევაში რესურსები ზოგადი ფორმით არის წარმოდგენილი და არ არის დაკონკრეტებული; • ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში, დაწყებით საფეხურზე კურიკულუმში რესურსების მრავალფეროვნება ნაკლებად არის ასახული; **რჩევა:** სასურველია მეტი საგანმანათლებლობ რესურსის მითითება და გამოყენება სასწავლო პროცესში. ასევე, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სკოლის გრიფირებული სახელმძღვანელოც სასწვლო კურიკულუმში. რესურსების გრაფაში მხოლოდ საგანმანათლებლო რესურსები იწერება და არ უნდა ჩაიწეროს მატერიალური რესურსი. იყოს ზუსტი, მრავალფეროვანი და შესაბამისობაში რეალურად გამოყენებულ მასალებთან. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების თავფურცელში ყველგან მიეთითოს სახელმძღვანელოს სრული დასახელება.**2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში, შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამისად, მითითებულია რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ხელს უწყობენ კომპლექსური დავალებით განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. დაწყებით საფეხურზე, საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კურიკულუმის ჩარჩოში (II-VI კლასები) ინტეგრირებულია მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების ეფექტიან მიღწევას.

	გამოყენებულია საგანმანათლებლო რესურსი School.emis.ge, რომელიც სრულად ფარავს სამიზნე ცნებებს. Microsoft Office 365 (Word, PowerPoint, Outlook) და Scratch, რაც აუცილებელია პრაქტიკული (პროცედურული) ცოდნის მისაღწევად. კურიკულუმში ჩაშენებულია ვიდეო რესურსების ბმულები (მაგ. ფიშინგის, პაროლების შესახებ), რაც ეხმარება მოსწავლეებს აბსტრაქტული ცნებების (ციფრული მოქალაქეობა) ვიზუალიზაციასა და გააზრებაში. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმების ნაწილში წარმოდგენილი აქვთ როგორც ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე დამატებითი რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, ელ. რესურსები. წარმოდგენილი რესურსები კურიკულუმში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის სარწმუნო საშუალებაა. **რჩევა:** სასწავლო რესურსები გაწერილ იქნას ქართული ენისა და ლიტერატურის I კლასის ანბანის შემდგომ პერიოდში. ასევე IV კლასის მათემატიკის კურიკულუმში აისახოს სასწავლო რესურსები. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და მზაობას. შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების გამოვლენა. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა დავალებების ადაპტირება. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ეს ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებით პროდუქტის იდეებსა და მათი განხორციელების პროცესში. **მნიშვნელოვანია**, რომ სკოლამ კიდევ უფრო გააღრმავოს ამ მიმართულებით მუშაობა. საჭიროა სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება — სხვადასხვა სირთულის

	დავალებები, განსხვავებული ტიპის აქტივობები (ვიზუალური, პრაქტიკული, ტექსტზე დაფუძნებული), რათა მოსწავლეებს მიეცეთ არჩევანი და მათთვის შესაფერისი გზით ისწავლონ. მნიშვნელოვანია შეფასების დიფერენციაციაც, რომ მოსწავლის პროგრესი შეფასდეს მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე შექმნან ესა თუ ის პოსტერი, გააფორმონ იგი მათთვის მისაღები ფორმით და ა.შ. გარდა ამისა, პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ დიფერენცირებულ მიდგომას იყენებენ საგაკვეთილო პროცესშიც და დავალებებს აძლევენ მათი შესაძლებლობების მიხედვით, ან ახალი ინფორმაციის მიწოდების დროს ითვალისწინებენ მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას და სასწავლ მასალას აწვდიან შესაბამისად. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სწავლობს 4 სსსმ მოსწავლე, წარმოდგენილია 2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი ისგ-ების ანალიზი აჩვენებს, რომ: • დეტალურად არის გაწერილი მოსწავლის აქტუალური დონე; • განსაზღვრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები; • გამოყენებულია შესაბამისი აქტივობები და რესურსები; • პროცესში ჩართულია სპეციალური მასწავლებელი. ამასთან, სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. მასწავლებლებთან ინტერვიუთი დადგინდა რომ ყველა მოსწავლეს არ ესაჭიროება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ხელოვნებასა და მუსიკაში. **რჩევა:** სასურველი ყველა სსსმ მოსწავლისთვის დოკუმენტურად იყოს ასახული ინდივიდუალური მიდგომა (მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ ისგ საჭირო არ არის). **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ახდენენ მოდიფიცირების თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	კათედრის წევრებთან გასაუბრებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ

	მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე. სკოლაში შეიქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო,სადაც მოსწავლე შეძლებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, შესაძლებლობების რეალიზებას . სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა შემოქმედებით დავალებებს. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ მზაობას, ინტერესებსა და სწავლის სტილს. პროცესი ორიენტირებულია იმაზე, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს სწავლის მიღმა და თითოეულმა შეძლოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გააზრება საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობებით. მე-5 კლასის კომპლექსური დავალების („ანიმაცია Scratch-ში“) ფარგლებში დიფერენცირებული მიდგომა იკვეთება სწავლების პროცესში. დავალება დაყოფილია ნაბიჯებად, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, სხვადასხვა მზაობის მოსწავლეს განსხვავებული დოზით დახმარება გაუწიოს. შეკითხვები („რა გაგიადვილდა და რა გაგიჭირდა?“) მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას, თუ ვის სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა. სკოლის მიერ წარმოდგენილია მე-3 კლასის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ), რომელიც მოიცავს ადაპტირებულ დავალებებს. სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომებისა და ინკლუზიური გარემოს არსებობას ადასტურებს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აქტივობები და რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეებზე და ხელს უწყობს მათ ჩართულობას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეთა განსხვავებული მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით, ხოლო კომპლექსური დავალების პირობებში უზრუნველყოფილია არჩევანის შესაძლებლობა. ინტერვიუს პროცესში ნათლად გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა და კომპეტენცია დიფერენცირებული სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპების გამოყენების მიმართულებით.

	რჩევა: სასურველია კურიკულუმის დანართში გამოკვეთილად გაიწეროს, თუ როგორ უკავშირდება ტექნოლოგიების კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მიზნებს. სასურველია კურიკულუმს დაემატოს სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული/მოდიფიცირებული კომპლექსური დავალების გეგმები, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს სკოლის მზაობას თითოეული მოსწავლის განვითარებისთვის. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, დავალებები და მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესს, პედაგოგებმა გასაუბრებაზეც აღნიშნეს რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია, რაც თავისთავად ხელს უწყობს დიფერენცირებას და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას. III კლასში ირიცხება სსსმ მოსწავლე და წარმოდგენილია ისგ გეგმები. გასაუბრებაზე დეტალურად განიხილეს დიფერენცირების მაგალითები. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. არის მრავალმხრივი (განმსაზღვრელი, განმავითარებელი,შემაჯამებელი, პრეზენტაციის, ლაბ. სამუშაოს) სამიზნე ცნებებზე გაწერილი და მკვიდრი წარმოდგენების გაზომვას ემსახურება. **რჩევა:** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა(ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა)საბაზო, საშუალო საფეხურის ყველა კლასისთვის შემუშავებულ იქნას შესაბამისი განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტის იდეას. კათედრაზე იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს, რომელზეც დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული

	ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. გასაუბრების დროს სკოლას მიეცა რჩევა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ განმავითარებელი შეფასების იდეაზე, რადგან ის სრულად იყოს დაცლილი შაბლონურობისგან და მეტად მიემართებოდეს კონკრეტულ მახასიათებლებს. **რჩევა:** სკოლისთვის **მიზანშეწონილია** შეფასების სისტემის გაუმჯობესება ისე, რომ იგი უფრო მეტად ემსახურებოდეს მოსწავლის განვითარებას. მნიშვნელოვანია თითოეული დავალებისთვის მკაფიო და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რათა მოსწავლეებმა ზუსტად იცოდნენ, რა მოეთხოვებათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების გაძლიერება — ქულასთან ერთად აუცილებელია კონკრეტული და კონსტრუქციული უკუკავშირი, რომელიც მიუთითებს როგორც ძლიერ მხარეებზე, ისე გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე. ასევე სასურველია მოსწავლეთა აქტიური ჩართვა თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების პროცესში და შუალედური უკუკავშირის გამოყენება, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას, ეტაპობრივად გააუმჯობესონ საკუთარი ნამუშევარი. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესის შესაბამისად. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში გამოყენებულია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ: • გამოყენებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს როგორც პროცესს, ისე შედეგს (კომპოზიცია, ტექნიკა, შემოქმედებითობა და სხვ.) • განმავითარებელი შეფასება მოიცავს უკუკავშირის ძირითად კომპონენტებს (დაზუსტება, წახალისება, რეკომენდაცია) • მუსიკაშიც და ხელოვნებაშიც შეფასება ორიენტირებულია როგორც პრაქტიკულ უნარებზე, ისე ინტერპრეტაციასა და კომუნიკაციაზე თუმცა: • შეფასების ვერიფიკაციის პროცესი დოკუმენტურად არ არის გამოკვეთილი; • ზოგიერთ შემთხვევაში შეფასება მეტწილად ცოდნის გადამოწმებაზეა ორიენტირებული (ტესტური ფორმატი); • კომპლექსურ დავალებებსა და შეფასებას შორის კავშირი ყოველთვის მკაფიოდ არ იკვეთება;

	რჩევა: დაწყებით და საბაზო საფეხურზე, სასურველია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა უფრო მეტად დაეფუძნოს შემოქმედებით დავალებებს. შეფასება იყოს მიმართული უფრო მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე, ვიდრე ცოდნის გადამოწმებაზე. შეფასება ეფუძნებოდეს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. კათედრას ჰქონდეს მრავალფროვანი შეფასების რუბრიკები, რომლევიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე იქნება დამიზნებული. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სამივე საფეხურისთვის შედგენილია როგორც ზოგადი (სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის), ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები ზოგიერთი თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად. **რჩევა:** თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. აღნიშნულს ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება სამიზნე ცნებებს და ორიენტირებულია გრძელვადიანი შედეგების მიღწევაზე. დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ მასწავლებელს აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავებისა და გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება. აშკარაა, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო ხედვა განმავითარებელი და განმსაზღვრელი

	შეფასების წარმოების შესახებ, რაც სასწავლო პროცესის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების წინაპირობაა. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. რუბრიკები ზოგადია, მიემართება გრძელვადიან მიზანს. გასაუბრებაზე გაგვაცნეს რომ რუბრიკებზე დაყრდნობით კონკრეტულად დავალებებს აფასებენ. ასევე საგაკვეთილო პროცესში იყენებენ აქტივობათა შეფასების ვერბალურ ხერხს, ასევე მოსწავლეთა ურთიერთსეფასებას და თვითშეფასების მოდელს. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (2025 წლის 26 დეკემბრის N01-02/51 ბრძანებით)
სასკოლო სასწავლო გეგმა
საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)
შეფასების რუბრიკები
ისგ ჯგუფის გეგმა და ოქმები
კათედრის შემაჯამებელი ოქმი
შემოქმედებითი დავალების ნიმუშები.
შემაჯამებელი დავალებები
გაკვეთილის გეგმები;
ინფრასტრუქტურის ფოტომასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია წარმოდგენილი კურიკულუმის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა (გაკვეთილის გეგმა, შემოქმედებით დავალება) და პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე ზოგჯერ ხდება მცირედი მოდიფიცირება. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის კურიკულუმის მიხედვით წარმართვა მნიშვნელოვანია, რადგან კურიკულუმი განსაზღვრავს სწავლების მიზნებს, შინაარსს, უნარებსა და შედეგებს. მისი დაცვა უზრუნველყოფს, რომ სწავლება იყოს სისტემური, თანმიმდევრული და მოსწავლეზე ორიენტირებული, ხოლო ყველა მოსწავლემ მიიღოს თანაბარი და სტანდარტებთან შესაბამისი განათლება. კურიკულუმზე დაფუძნებული სწავლება ასევე ამარტივებს შეფასებას, რადგან წინასწარ არის განსაზღვრული, რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ კონკრეტულ ეტაპზე.

	სკოლის მიერ განსახილველად გამოგზავნილი კურიკულუმები შემუშავებულია 2025-2026 წლის სასწავლო წლისთვის. გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კურიკულუმის რეალურ სასწავლო პროცესში განხორციელებასთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესში საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმებში საკითხებად და საკითხთა კლასტერებად გაწერილია ისეთი საკითხები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემას, ცნებებსა და მიზნებს. ის ხელს უწყობს მოსწავლემ მიიღოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნით გათვალისწინებული განათლება. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას, რაც მათ მრავალი უნარის განვითარების შესაძლებლობას აძლევს. გასაუბრებისას განხილულ იქნა, რომ კურიკულუმი არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროსაც შეიძლება დაიხვეწოს. სკოლას მიეცა **რჩევა,** რომ სასურველია რეგულარული მონიტორინგი და ანალიზი — რამდენად შეესაბამება რეალური სწავლება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს — და საჭიროების შემთხვევაში, დროული კორექტირება. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძელზე, შეგვიძლია ვთქვათ რომ სასწავლო პროცესის წარმართვა ხდება სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი სასწავლო მასალის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გაკვეთილები ეყრდნობა კურიკულუმში განსაზღვრულ თემატურ ერთეულებს, სამიზნე ცნებებსა და აქტივობებს, ხოლო შემოქმედებითი დავალებები მიმართულია მოსწავლეთა ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესში იკვეთება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული აქტივობების გამოყენება, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში არ იკვეთება მკაფიო კავშირი კურიკულუმში გაწერილ მიზნებსა და კონკრეტულ გაკვეთილებზე განხორციელებულ აქტივობებს შორის, რაც საჭიროებს უკეთეს დაგეგმვასა და თანმიმდევრულობას. **რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე სასურველია გაკვეთილის დაგეგმვაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და განხორციელებულ აქტივობებს

	შორის კავშირი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობასა და ეფექტიანობას. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს (ერთობლივი გადაწყვეტილებით) შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმებში მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმებში გაწერილი თემები და საკითხები პირდაპირ აისახება სასწავლო პროცესში. მაგალითად, მე-5 კლასის კურიკულუმში თემაზე „პირობითი ნიშნები კომპიუტერულ პროგრამებში“ დაგეგმილია Scratch-ში მუშაობა. ატვირთული კომპლექსური დავალება და მოსწავლეთა ნამუშევრების ფოტოები ადასტურებს, რომ მასწავლებელმა არ გადაუხვია გეგმას და ზუსტად მიჰყვა კურიკულუმით განსაზღვრულ შინაარსს. დავალების იდეა (მაგ. „ანიმაციის შექმნა“) წინასწარაა გაწერილი კურიკულუმის ცხრილში. დავალების განხორციელების ეტაპები (ნაბიჯები) ლოგიკურად მიყვება კურიკულუმში მითითებულ რესურსებსა და აქტივობებს. ეს ნიშნავს, რომ დაგეგმვა არის ვალიდური და არა ფორმალური. მასწავლებლის რეფლექსიიდან ჩანს, რომ ის იყენებს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც კურიკულუმშია დაფიქსირებული. ეს არის მტკიცებულება იმისა, რომ სასწავლო პროცესი არის დინამიკური და პასუხობს დაგეგმილ მეთოდოლოგიას. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წარმოადგინეს და ისაუბრეს არაერთ პროდუქტზე, რაც მტკიცებულების სახით სკოლაში აქვთ შემონახული. ესენია პოსტერები,

	პლაკატები თუ სხვა. ამით დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი პერსონალის მართვის პოლიტიკის დანართი დროებით არმყოფი თანამშრომლების ჩანაცვლების წესი. აღნიშული დოკუმენტით დაწესებული რეგულაციები ვრცელდება სკოლის ყველა თანამშრომელზე პედაგოგიური, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ჩათვლით. სასწავლო პროცესის უწყვეტელობის მიზნით შეიმუშავებული შიდა რეგულაციები ცნობილია ყველა თანამშრომლისათვის და საჭიროების შემთხვევაში მოქმედებენ რეგულაციის შესაბამისად. **2.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რაზეც მეტყველებს ის, რომ მოსწავლემ წინასწარ იცის, თუ რა კრიტერიუმებით იზომება მისი ნაშრომი, რა ქულობრივი წონა აქვს თვითოეულ კრიტერიუმს, ყველა მოსწავლისათვის შეფაზების რუბრიკა საერთოა, ხშირად ხდება თავად მოსწავლეების მიერ თვითშფასება. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასებების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. ისინი იძლევა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასებების საფუძველს. მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებების სისტემა ერთიანია და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ მათ. სკოლას მიეცა **რჩევა,** კიდევ უფრო გაღრმავდეს შეფასების სისტემებზე მუშაობა. ინტენსიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და პროგრესის ანალიზს. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	**უცხოური ენები** **<u>დაწყებითი საფეხური</u>** : მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულები თუ რა კრიტერიუმებით ფასდებიან ისინი, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. კრიტერიუმები შეესაბამება დავალების პირობებს. წარმოდგენილი რუბრიკებით გაწერილია 10-დან 5 ქულის ჩათვლით მოსწავლის შეფასების პრინციპი და აღარაა მოცემული თუ რა პრინციპით ნაწილდება სხვა ქულები. **რჩევა:** უმჯობესი იქნება თუ რუბრიკებში, სადაც 5 ქულის შემდეგ აღარაა გაწერილი შეფასების სისტემა, დაემატება დანარჩენი ქულების გადანაწილების პრინციპიც.

	<u>საბაზო საფეხური:</u> მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულები თუ რა კრიტერიუმებით ფასდებიან ისინი, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. კრიტერიუმები შეესაბამება დავალების პირობებს. წარმოდგენილი რუბრიკებით გაწერილია 10-დან 5 ქულის ჩათვლით მოსწავლის შეფასების პრინციპი და აღარაა მოცემული თუ რა პრინციპით ნაწილდება სხვა ქულები. **რჩევა**: უმჯობესი იქნება თუ რუბრიკებში, სადაც 5 ქულის შემდეგ აღარაა გაწერილი შეფასების სისტემა, დაემატება დანარჩენი ქულების გადანაწილების პრინციპიც. **საშუალო საფეხური:** მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულები თუ რა კრიტერიუმებით ფასდებიან ისინი, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. კრიტერიუმები შეესაბამება დავალების პირობებს. წარმოდგენილი რუბრიკებით გაწერილია 10-დან 5 ქულის ჩათვლით მოსწავლის შეფასების პრინციპი და აღარაა მოცემული თუ რა პრინციპით ნაწილდება სხვა ქულები. **რჩევა**: უმჯობესი იქნება თუ რუბრიკებში, სადაც 5 ქულის შემდეგ აღარაა გაწერილი შეფასების სისტემა, დაემატება დანარჩენი ქულების გადანაწილების პრინციპიც. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების პროცესში გამოყენებულია რუბრიკები, რომლებიც მოიცავს როგორც პროცესის, ისე საბოლოო პროდუქტის შეფასებას და გარკვეულწილად ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს და ზრდის შეფასების გამჭვირვალობას. ასევე, შეფასების კრიტერიუმები გასაგებია მოსწავლეთათვის. თუმცა, შეფასების სისტემა სრულად არ არის თანმიმდევრულად დაკავშირებული კურიკულუმში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან და ხან შეფასების რუბრიკებში ისეთი კრიტერიუმებიც შემოდის, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეფასება მეტად ორიენტირებულია ცოდნის გადამოწმებაზე და ნაკლებად — ანალიზზე, ინტერპრეტაციასა და შემოქმედებით აზროვნებაზე, რაც ზღუდავს შეფასების ვალიდურობას. **რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემა მეტად დაეფუძნოს კურიკულუმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და შემოქმედებით დავალებებს, ასევე მოიცავდეს ანალიზზე, ინტერპრეტაციასა და

	შემოქმედებით აზროვნებაზე ორიენტირებულ შეფასების ფორმებს, რაც გაზრდის მის ვალიდურობასა და ობიექტურობას. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ერთობლივად . შეფასების კრიტერიუმები უკავშირდება სტანდარტით გათვალისწინებულ საგნობრივ სამიზნე ცნებებს , რაც უზრუნველყოფს მათ ვალიდურობას და სანდოობას. მოსწავლეები იცნობენ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე იქმნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტადარტების ინდიკატორებსა და შედეგებს.შეფასება ხორციელდება გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შედგენილია ობიექტურად სამართლიანობის პრინციპის დაცვით. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მასწავლებელი იყენებს როგორც განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, ასევე მიმართავს თვითშეფასებასაც, რაც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. წარმოდგენილი რუბრიკები ადასტურებს, რომ შეფასება პირდაპირ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს. რუბრიკებში მითითებულია კონკრეტული ინდექსები, რაც ნიშნავს, რომ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რასაც საგნობრივი სტანდარტი მოითხოვს. ეს უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასება ეყრდნობა არა ზოგად შთაბეჭდილებას, არამედ დეტალურ აღწერილობებს (მაღალი, საშუალო, დაბალი დონეები). მაგალითად, პრეზენტაციის შეფასებისას მკაფიოდაა გამიჯნული, თუ რა შემთხვევაში იწერება 9-10 ქულა (ორიგინალობა, დიზაინი) და რა შემთხვევაში უფრო დაბალი. ეს გამორიცხავს სუბიექტურობას და სისტემას ხდის ობიექტურს. წინასწარ შემუშავებული რუბრიკების არსებობა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, წინასწარ იცოდეს მოლოდინები, რაც შეფასების პროცესს ხდის გამჭვირვალეს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (მაგ. მე-3 და მე-4 კლასებისთვის) ორიენტირებულია პროგრესზე და არა მხოლოდ შეცდომის დაფიქსირებაზე. 10-ქულიანი სისტემის გადანაწილება უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლის საბოლოო ნიშანი ასახავს მის რეალურ კომპეტენციას ყველა მიმართულებით. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების კონკრეტული, მიზნობრივი რუბრიკები რომელიც კონკრეტულ საკითხს და დავალებას მიემართება. გასაუბრებისას აღწერეს თუ როგორ ახალისებენ მოსწავლეს სხვადასხვა წამახალისებლებით, აწვდიან მათ კონკრეტულ, აქტივობებზე მორგებულ უკუკავშირს. კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის შესაბამისად ,სკოლა ვერიფიკაციას განახორციელებს სხვადასხვა ფორმით : წლიური გამოცდებით, დიაგნოსტიკური ტესტებით და სემესტრული გამოცდის ჩანიშვენით საჭირეობის შემთხვევაში.

კათედრების ხელმძღვანელებმა გასუბრებისას აღნიშნეს, რომ როგორც მიმდინარე პროცესებში სამუშაო შეხვედრებზე, ასევე სემესტრის და წლის ბოლოს კათედრების სხდომებზე პედაგოგები განიხილავენ მოსწავლეებთან მუშაობისას გამოყენებული შეფასების რუბრიკებს, მათ თანხვედრას მიზნებთან, ცნებებთან , უცვლიან ერთმანეთს მოსაზრებებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები.

რაც შეეხება პროცესების ვერიფიკაციას, დირექტორი, მოადგილე და კათედრის ხელმძღვანელები პერიოდულად ესწრებიან გაკვეთილებს და პედაგოგს უბრუნებენ წერილობით უკუკავშირს. ასევე კათედრას აქვს ურთიერთდასწრების პრაქტიკა,სადაც პედაგოგები ერთმანეთს ესწრებიან უცვლიან ერთმანეთს მოსაზრებებს, უკუკავშირს. **2.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ვიზიტისას დათვალიერდა და გადამოწმდა მონაცემების შენახვის პროცესები,სადაც კანონდებლობის წესის დაცვით შენახულია მოსწავლის პირადი საქმეები. სკოლაში კათედრებზე შენახულია მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული შემაჯამებელი/შემოქმედებითი დავალებები. დირექტორის მოადგილესთან ინახება მასწავლებლების მიერ თითოეულ მოსწავლესთან მიღწეული შედეგების ანალიზი. სკოლა იცავს დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. **2.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

სასკოლო სასწავლო გეგმა ;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები;
საგნობრივი კურიკულუმები;
კომპლექსური დავალებების ბარათები;
შეფასების რუბრიკები;
შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები;
შემაჯამებელი დავალებების ანალიზების ფორმები;
განხორციელებული საგნობრივი პროექტების მასალები;
კათედრების წევრების ურთიერთდასწრების ფორმები ;
მოსწავლეთა პირადი საქმეები .
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის დირექტორის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N01-02/06 სოფელი ზედა ახალშენი 10.04.2025 წელი სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე რესურსები აქტიურად გამოიყენება სწავლებისას. ძირითადი რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი რესურსი კი არის როგორც მატერიალური ასევე ციფრული სახით. დამატებით რესურსად, მასწავლებლები იყენებენ ტელესკოლის მასალებსაც. ამასთანავე გასაუბრებისას მასწავლებლემა აღნიშნეს, რომ დამატებით რესურსის სახით იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიასაც. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	უმეტეს შემთხვევაში კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა სასწავლო რესურსად ძირითადად იყენებს გრიფირებული სახელმძღვანელოს, თუმცა გასაუბრების პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს რესურსების მრავალფეროვნებაზე და განხორციელებულ პროექტებზე, რომლებიც თავისთავად მოითხოვს რესურსების მრავალფეროვნებას. სკოლას მიეცა **რჩევა,** საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში გამრავალფეროვნდეს სასწვლო რესურსები, რომლებიც სახელმძღვანელოების გარდა მოიცავს დამატებით ლიტერატურას, ციფრულ რესურსებს და ა.შ ცალკეულ კურიკულუმებში გასაუბრების შემდეგ, ვიზიტის პერიოდში პედაგოგებმა ამ საკითხზე იმუშავეს და პროგრესი თვალსაჩინო

	იყო. შესაბამისად, კათედრაზე მომუშავე პედაგოგებს შესწევთ უნარი გააგრძელონ ამ მხრივ მუშაობა. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ იმ ძირითად რესურსებს, რომლებიც კურიკულუმებშია მითითებული. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები და ვიზუალური მასალა. გაკვეთილებზე ასევე გამოიყენება დამატებითი აქტივობები და პრაქტიკული დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს მათემატიკაში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები რეალურად და ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. მე-5 კლასის კურიკულუმში მითითებულია ელ.რესურსი school.emis.ge და Scratch-ის გარემო. მოსწავლეთა ნამუშევრების ბმულები და ფოტოები ადასტურებს, რომ მოსწავლეებმა სწორედ ამ რესურსების გამოყენებით შექმნეს საბოლოო პროდუქტი. მე-2 და მე-4 კლასებში Microsoft Office 365-ის (Word, PowerPoint, Outlook) გამოყენება რესურსად მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ორიენტირებულია პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებაზე. ინდიკატორი სრულად დასტურდება წარმოდგენილი ციფრული

	პლატფორმების, ვიდეო მასალებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების სახით. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია სახელმძღვანელოები, გვხვდება ციფრული რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **რჩევა:** სასწავლო და დამხმარე რესურსები გაწერილ იქნას ქართული ენისა და ლიტერატურის I კლასის ანბანის შემდგომ პერიოდში. ასევე IV კლასის მათემატიკის კურიკულუმში აისახოს სასწავლო რესურსები. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების გადასინჯვისას მოხდა სასწავლო რესურსების ვალიდაცია-დამოწმება/დადასტურება შესაბამისობით განსაზღვრულ კრიტ/სტანდარტის მიხედვით. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებაში შემავალი საგნების პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს რესურსებს და მონაწილოებენ სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვაში. რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს. **სასურველია**, რომ შეიქმნას შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს: კურიკულუმთან შესაბამისობას, სიზუსტესა და სანდოობას, ასაკობრივ და საგნობრივ შესაბამისობას, ინკლუზიურობას და სწავლების მიზნებთან კავშირს. ნებისმიერი რესურსი (წიგნი, ონლაინ მასალა, ვიდეო, სამუშაო ფურცელი) უნდა შეფასდეს ამ კრიტერიუმების მიხედვით. კათედრის წევრებს აქვთ თანამშრომლობითი კომუნიკაცია ერთმანეთთან, რაც მათ გაუადვილებს, რომ ერთობლივად განიხილონ რესურსები გამოყენებამდე. ასევე ეფექტურია რესურსების პილოტირება — მათი გამოცდა კონკრეტულ კლასში და შემდეგ უკუკავშირის შეგროვება როგორც მოსწავლეებისგან, ისე მასწავლებლებისგან, რათა შეფასდეს, რამდენად ეფექტურია მასალა პრაქტიკაში. მნიშვნელოვანია პერიოდული გადახედვაც: უკვე

	გამოყენებული რესურსები უნდა გადამოწმდეს დროდადრო, რათა არ დაიკარგოს აქტუალობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე როდესაც არჩევენ ამა თუ იმ რესურს, წინასწარ ხდება მისი შეფასება რამდენად უზრუნველყოფს იგი დასახული მიზნების მიღწევას, შესაფერისია თუ არა იგი ასაკობრივად ამა თუ იმ კონრეტული ასაკობრივი ჯგუფისთვის და რამდენად მრავლფეროვანია იგი. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დამხმარე რესურსები (ვიზუალური მასალა, პრაქტიკული აქტივობები, ინდივიდუალურად შერჩეული მასალები), რომლებიც შერჩეულია საგნის სპეციფიკისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი (მათ შესაბამისობაზე შეთანხმება, ხარისხის შეფასება, მიზნობრივი შერჩევა) დოკუმენტურად არ არის გამოკვეთილი. არ იკვეთება რესურსების შერჩევის ერთიანი, სისტემური მიდგომა ან კოლეგიალური განხილვის პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფდა მათი შესაბამისობის შეფასებას სასწავლო მიზნებთან ხელოვნებასა და მუსიკაში. **რჩევა:** აუცილებელია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესის ფორმალიზება (რესურსების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა, კოლეგიალური განხილვა, შესაბამისობის შეფასება სასწავლო მიზნებთან), რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხისა და თანმიმდევრულობის გაზრდას. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრა. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგნისთვის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ - შერჩეული რესურსი (school.emis.ge) ვალიდურია და სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებსა და საგნობრივ სტანდარტებს. აღნიშნული პლატფორმა რეკომენდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და ხელს უწყობს მოსწავლეებს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაში. კურიკულუმში რესურსები მითითებულია არა ზოგადად, არამედ კონკრეტული სამიზნე ცნებების მიხედვით. მაგალითად, მე-5 კლასში „ინფორმაციული ეთიკის“ სწავლებისას გამოყენებულია ვიდეოები „ფიშინგის“ და „ტროას“ შესახებ, რაც შინაარსობრივად ზუსტად ფარავს სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. მე-5 კლასის კომპლექსურ დავალებაში მოსწავლეების მიერ Scratch-ში შექმნილი ანიმაციები (რომელთა ბმულები და ფოტოებიც წარმოდგენილია) ადასტურებს, რომ მასწავლებლის მიერ შერჩეულმა დამხმარე რესურსმა (ინსტრუქციები, სავარჯიშოები) რეალურად იმუშავა და მიიყვანა მოსწავლე სასწავლო შედეგამდე. ვიზიტის დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ კათედრაზე განიხილავენ და ამტკიცებენ წლის განმავლობაში გამოსაყენებელ ციფრულ რესურსებს. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა,ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიები განთავსებულია ერთ სივრცეში. სამივე საგნისთვის არის სწავლა-სწავლებისთვის საბაზისო რესურსები,რაც აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესისთვის საჭირო კვლევა/ექსპერიმენტისთვის. სივრცე არ არის მოწყობილი/აღჭურვილი ქიმიის ლაბორატორიისთვის შესაბამისი უსაფრთხოების სტანდარტის გათვალისწინებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ქიმიის მიმართულებით ხორციელდება მხოლოდ მარტივი-ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო კვლევა/ექსპერიმენტები.

	ხარვეზი: სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სტადარტის შესაბამისი აღჭურვილობით. **სრულყოფილად აღიჭურვილი ლაბორატორიის სივრცე** სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგების მიღწევიდან გამომდინარე, სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია ლაბორატორიები ფუნქციონირებდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სივრცეში და აღიჭურვოს შესაბამისი რესურსებით ისე, რომ დაგეგმილი კვლევა/ექსპერიმენტის განხორციელება შესაძლებელი იყოს ინდივიდუალურად/ჯგუფურად მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. სასურველია აღნიშნული ხარვეზის-ქიმიის ლაბორატორიის მოწყობა უსაფრთხოების სტანდარტის შესაბამისად - მოგვარება არაუგვიანეს მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისისთვის. **შესაბამისობის გეგმის განხილვის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია და დადებითად შეაფასა გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები. აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორთან მიმართებით განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი - 2027 წლის მაისი) სკოლამ უზრუნველყოს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა. **2.2.2.3. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალური რესურსით და ასევე, გათვალისწინებულია ზღვრული რაოდენობა. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი ინფორმაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების გამოყენებას. ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილებზე ხელმისაწვდომია ძირითადი სასწავლო საშუალებები, რაც იძლევა შესაძლებლობას განხორციელდეს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული აქტივობები. თუმცა, სკოლაში მუსიკალური ინსტრუმენტები ძალზე მწირად არის წარმოდგენილი, რაც ცხადია აისახება საგაკვეთილო პროცესზე. სასწავლო გარემო და რესურსები, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ზოგადად უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ ზღუდავს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას.

	რჩევა: სასურველია მატერიალური რესურსების ეტაპობრივი გამდიდრება და განახლება, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს პრაქტიკული და შემოქმედებითი აქტივობების განვითარებას. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით, რაც ხელს უწყობს ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს და გარე სივრცეში განთავსებულ სპორტულ მოედანს. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს, რომ სკოლა აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ლაბორატორიით, სადაც ტექნიკის რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან. ეს თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალური სამუშაო ადგილის გამოყოფისა და საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად, სრულფასოვნად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა. სასწავლო გარემო და რესურსები მორგებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას, რაც პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო თანაბარ და ეფექტიან პირობებს ქმნის. ლაბორატორია, ასევე, უზრუნველყოფილია სტაბილური ინტერნეტკავშირითა და შესაბამისი პერიფერიული მოწყობილობებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო დავალებების მრავალფეროვნებასა და ინტერაქციულობას. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე ხსენებული დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულია 24 პედაგოგი, ამათგან 23 პედაგოგი უფროსის სტატუსით და 1 პედაგოგი მოწვეული მასწავლებლის სტატუსი. სკოლაში არ ჰყავს ფიზიკის, ასევე მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები, რომლებსაც საგნობრივი კომპეტენცია აქვთ დადასტურებული. რის გამოც აღნიშნული საგნები ისწავლება სხვა სპეციალობის პედაგოგების მიერ შეთავსებით. ფიზიკას ასწავლის **ქიმიისა და ბილოგიის პედაგოგები შეთავსებით,** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის ბრძანება №108/ნ შესაბამისად. ხოლო მუსიკასა და გამოყენებით და სახვით ხელოვნებას დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, რომელთაც აქვთ აღნიშნული საგნის სწავლების გამოცდილება. სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსიები. **შესაბამისობის გეგმის განხილვის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია და დადებითად შეაფასა გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები. აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორთან მიმართებით განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად (2026 წლის მაისი - 2026 წლის სექტემბერი) გამოიცხადოს კონკურსი და აიყვანოს მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მასწავლებელი, რომელსაც დადასტურებული აქვს შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია.**2.2.2.4. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
სასკოლო სასწავლო გეგმა
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები
საგნობრივი კურიკულუმები
სასწავლო რესურსების ბაზა და ფოტომასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის მონიტორინგისა და განხორცილების შეფასების მეთოდოლოგია. კათედრების დოკუმენტაციის თანახმად მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები აკვირდებიან პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მიღებულ მონაცემებს კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სემესტრის ბოლოს კათედრები განიხილავენ განხორიცელბულ აქიტოვბებს, თემებს, რამდენად შესაბამისობაში მოვიდა წინასწარ დაგეგმილ კურიკულუმთან მიმდინარე პროცესები. საჭირების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. **2.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი სისტემურად არის ორგანიზებული და ორიენტირებულია სასწავლო პროცესში არსებული საჭიროებების გამოვლენასა და მათზე შესაბამის რეაგირებაზე. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები მკაფიოდ განსაზღვრავს მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გაზიარების პროცესს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სისტემატიზაციას როგორც მოსწავლეთა მიღწევების, ისე სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების შესახებ. რეგულარული საგაკვეთილო დაკვირვებები და კათედრის ფარგლებში ჩატარებული განხილვები ქმნის საფუძველს პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების ერთობლივად შემუშავებისთვის. ამასთან, უზრუნველყოფილია კომუნიკაცია დირექციასა და პედაგოგებს შორის, რაც ხელს უწყობს მიღებული გადაწყვეტილებების კოორდინირებულ განხორციელებას. აღნიშნული პრაქტიკა

ადასტურებს, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ეფექტიანად გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის შესაბამისი გზების განსაზღვრისათვის. **2.3.1.2. ინდიკატორი შეესაბამება**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

კათედრების მასალებზე (ურთიერთდასწრებების, გაკვეთილების მონიტორინგისა და სემესტის შეჯამების თუ სხვა აქტივოებების აღმწერ ოქმებზე) დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ პედაგოგები ცდილობენ განსაზღვრონ პრობლემა და მსჯელობენ წარმოშობილი პრობლემის გადაჭრის ხერხებზე, ასევე გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ კოლეგების ურთიერთდასწრება ხორციელდება მხოლოდ ერთმანეთის გაძლიერებისა და მხარდაჭერისათვის, კოლეგები აჩენენ მზაობას და აღირებენ კრიტიკული მეგობრის სარგებელს სასწავლო პროცესის გაუჯობესების საქმეში. **2.3.1.3. ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები და თანდართული მასალები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესების შეფასება ხდება სემესტრების ბოლოს, კათედრების სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და პედსაბჭოებზე, სადაც პედაგოგები წარმოადგენენ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ და წარუდგენენ კათედრების ხელმძღვანელებს. საბოლოო შეჯამებული ანგარიში მიმდინარე პროცესების შეფასების შესახებ განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე. **2.3.2.1. ინდიკატორი შეესაბამება**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე (კათედრების ოქმები,სადამრიგებლო საათის ოქმები) შესაძლოა ითქვას, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევებისა და სასწავლო პროცესის აღწერაზე. **2.3.2.2. ინდიკატორი შეესაბამება**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში ვიზიტისას, მშოლებთან ,მოსწავლეებთან თუ სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვებისთვის ძირითადად ეყრდნობიან ზეპირსიტყვიერ მეთოდს. მაგალითად ზეპირი გამოკითხვა, ინტერვიუ. აღწერაზე. **2.3.2.3. ინდიკატორი შეესაბამება**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის წარმომადგნელებთან,მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისად აღინიშნა, რომ რეგულარულ შეკრებებზე მუდმივად განიხილავენ სკოლის ცხოვრების მნიშვენლოვან საკითხებს. **2.3.2.4. ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
საგნობრივი კათედრების დოკუმენტაცია
სადამრიგებლო საათების/კრებების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის ადმინისტრაციის წევრები მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მასწავლებლები, კათედრის სხდომაზე განიხილავენ ურთიერთდასწრების გაკვეთილებს. ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში, კათედრების დონეზე ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის დროსაც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდება კურიკულუმის დანერგვის პროცესი და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებაში მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციას.

2.4.1.1. ინდიკტორი შეესაბამება.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კათედრების დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას და დამტკიცებას წინ უძღვის პედაგოგების მიერ წინა სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის გაანალიზება. კათედრების ფარგლებში განიხილება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები: მაგალითად შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის მიზნით დაგეგმილი აქტივობებიდან რომელმა გაამართლა/არ გაამართლა, რა იყო ამის მიზეზი. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას წინა წლის კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. **2.4.1.2. ინდიკტორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კათედრების ოქმები და თანდართული მასალები;
საგნობრივი კურიკულუმები;
ურთიერთდასწრებისა და მონიტორინგის თანდართული მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

2 ივნისი 2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა ნადარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი- ს. დუმბაძე

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი -თ. მარქარაშვილი

სპორტის საგნობრივი ექსპერტი -დ. აბაშიძე

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი -მ. ინაშვილი

საბუნებისმეტყველო საგანების ექსპერტი -ნ. ხუტილაშვილი

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი -თ. ხოსროშვილი

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი ნ.საღარაძე

უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტი ნ. ბლუაშვილი

საზოგადეობრივ მეცნიერებათა საგნიბრივი ექსპერტი- ე.კურდღელია

დაწყებითი კლასის ექსპერტი -ნ.ჭიჭინაძე